პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 27 აპრილი 2004 №93 (2112) | ფასი 50 თეთრი




## ჟირესი ბავშვებს და ავლაბარს ვერ გავაცილეთ

### პატარა ფრანგი დღესაც პატარებს უნდა ეთამაშოს

ხვალ მთელ დუნიაზე ამხანაგური მატჩების დღეა, მაგრამ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს თავისივე ბედოვლათი მოხელეების გადამკიდე დუნიაზე არაფერი ესაქმება. ალენ ჟირესის რჩეული ბიჭები დღეს ავლაბარში დაედევნებიან ბურთს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან, რომელსაც დროებითი მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა უხელმძღვანელებს.

ერთი სიტყვით, ჟირესი მეორედ გაიყვანს გუნდს სათამაშოდ 30 მარტის მანჰაიმური მატჩის შემდეგ. დღევანდელი ნაკრები ლამის მთლიანად ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებით იქნება დაკომპლექტებული, თუმც ნიათი და პასუხისმგებლობა ფეხბურთელებს არ უნდა აკლდეთ — ეს ხომ თავისებური გამცხრილავი თამაშია მათვის. ისე, ახალგაზრდულ ნაკრებშიცაა რამდენიმე ბიჭი, ეროვნული გუნდისკენ რომ იქაჩება.

თამაში ექვს საათზეა და ჟირესმა „ისანი" იმიტომ ირჩია, რომ ბურთის გრძივ-განივად სწრაფად გორება მოხერხდეს — ამ სტადიონის მინდორზე ეს შესაძლებელია.

## ახალი კონტრაქტი ახალი კონტრაქტისთვის




## ხიზანიშვილი ბენეშს და პრემიერლიგას დაუახლოვდა

ამ ეტაპზე თუ რომელიმე ქართველ ფეხბურთელს დიდ გუნდში გადასვლა შეუძლია, ეს პირველ რიგში ზურაბ ხიზანიშვილზე უნდა ვთქვათ.

ხიზანიშვილმა უკვე გააფორმა ახალი კონტრაქტი, მაგრამ არა კლუბთან — ზურას აგენტი ივან ბენეში შეიქნა. ბენეში კიდევ ერთი ქართველი რეინჯერსელის, შოთა არველაძის აგენტიცაა და სხვა ქართველ ფეხბურთელებთანაც დაუჭერია საქმე. ახლა კი ბენეში ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთ წამყვან კლუბთან მუშაობს, რათა ხიზანიშვილი მსოფლიოს უძვირეს ლიგაში მოახვედროს.

## პლეი ოფ და უფ უფულოებისთვის



უღიმღამოდ ჩაიარა მე-13 ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატის პლეი ოფის პირველმა წრემ და ისედაც მდარე ქართულ კალათბურთში დონის და ხარისხის დაცემას, მოდით, ნუკსან 13-ს ნუ დავაბრალებთ.

„ბასკოს" საერთოდ არ უთამაშია — ბათუმიდან წამოსულ ბათუმელებს პირველ წრეში დაჯახებულმა „ქუთაისმა" თბილისში ჩამოსასვლელი ფული ვერ მოიძია. მეორე ფავორიტი „დინამო" კი დღეს ვალდებულებას მოიხდის და სსუ-ს მეორედ და საბოლოოდ დაამარცხებს. ვერც „რუსთავი" — სტუ გამოდგა ღირსსანახავი. უფულო რეალობამ „რუსთავიც" დააზარალა და დააპატარავა. ქვემოქართლელები თბილისში ენთუზიასტ მოთამაშეებში მოკრეფილი ლარებით ჩამოვიდნენ და სტუ-სგან იოლად ძლეულებმა რუსთავული ტრადიციებისთვის შეუფერებლად ადრე დაასრულეს სეზონი. სხვა წყვილებზე ოდნავ მეტი ინტერესით ჩაიარა თსუ — „მაკაბი"...

უფულო ჩემპიონატში ნახევარფინალისტები, ანუ შედარებით ფულიანი ოთხეული ჯერ კიდევ პლეი ოფის დაწყებამდე გამოიკვეთა და ახლა გამოვლინდა. ჩემპიონი „დინამო" თსუ-ს შეუტევს, „ბასკო" კი სტუ-ს თბილისში უმასპინძლებს.

# ავლაბრული სამზადისი: კვება და თამაში



*დღეს „ისნის“ სტადიონზე, პირობითად რომ ვთქვათ, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ითამაშებენ. ეროვნულს ალენ ჟირესი უხელმძღვანელებს, ახალგაზრდებს კი ჯერ უმუშევარი გოჩა ტყებუჩავა*

მოგეხსენებათ, ხვალ მთელი ქვეყანა ამხანაგურად თამაშობს და ჩვენებიც 28 აპრილისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ ფედერაციამ ნაკრებისთვის მეტოქე ვერ გამონახა.

მთლად უთამაშებლობას კი ალენ ჟირესმა საქართველოში საუკეთესო ფეხბურთელების შეკრება და ახალგაზრდებთან მათი გამოცდა არჩია.

ჟირესს ამ შეხვედრისთვის 18 ფეხბურთელი ჰყავდა გამოძახებული, მაგრამ დაშავდა „თბილისის“ მცველი რევაზ ქემოკლიძე და მწვრთნელსაც 17 დარჩა. ქემოკლიძის ნაცვლად ჟირესს არავინ დაუბარებია. ამ ჩვიდმეტი ფეხბურთელიდან სამია ლეგიონერი — თურქული „ქოჯაელის“ მცველი გივი დიდავა და ლატვიური „სკონტოს“ ნახევარმცველები ზურაბ მენთეშაშვილი და ლევან კორღალიძე თბილისში გუშინ ჩამოვიდნენ.

შეკრებაო, ვახსენეთ, თუმც ნაკრების შეკრებაც ისეთივე პირობითია, როგორიც თავად ნაკრები. ჟირესის რჩეულები დღეს, დიახ, თამაშის დღეს, სადილზე შეიკრიბებიან სასტუმრო „ბატისტაში“, დაისვენებენ, მწვრთნელის დარიგებას მოისმენენ და ითამაშებენ. ასეთივე გრაფიკი აქვს ახალგაზრდულ ნაკრებსაც. ისინი სასტუმრო „მესაზღვრეში“ გაჩერდებიან.

მატჩი კი ავლაბარში, „ისნის“ სტადიონზე 18 საათზე დაიწყება.

**ქობა ინასარიძე**

# მინდორ-მინდორ ამბავი

## ლაგოდეხის ბელტს თურქული ხალიჩა შეცვლის

**საქართველოს** ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე უახლოეს მომავალში მოედნის საფარი შეიცვლება. ფეხბურთის ფედერაცია ბალახის ბელტების ხვეულების ჩამოტანას თურქეთიდან აპირებს, რაც თავის მომსახურებიანად დაახლოებით 150 ათასი ევრო დაჯდება. ბაზაზე, სავარაუდოდ, იმაზე უკეთესი გაზონი იქნება, ვიდრე ავლაბარში, „ისანზეა“, რომლის მოედანი დღესდღეობით საქართველოში საუკეთესოდ ითვლება.

აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენებულ ნაკრების ბაზაზე კახეთიდან ჩამოტანილი ტყის ბალახის ბელტებია დაგებული და მიუხედავად იმისა, რომ იქ ჯერ კაციშვილს არ უთამაშია, ეტყობა, რომ უხარისხოა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ალენ ჟირესის ერთ-ერთი მოთხოვნა, როცა ამ პოსტზე ინიშნებოდა, სწორედ ხარისხიანი მოედნის გაკეთება იყო. სხვათა შორის, უხარისხო ქართულ მოედნებზე თავის დროზე ჩიოდა იოჰან ბოსკამპიც, რომელიც მალე ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნება. საქართველოში ჩამოსვლის დღიდან უვარგის მოედნებზე ლაპარაკობს „დინამოს“ მწვრთნელი ივო შუშაკიც, თუმც მის სიტყვებს შედეგი ჯერაც არ მოჰყოლია. შარშან „დინამოს“ დიღმის ბაზის ერთ-ერთ მოედანზე საფარის შეცვლა კი დაიწყეს, მაგრამ სამუშაოები იქ რატომღაც დღემდე მიმდინარეობს.

**ქობა ინასარიძე**



### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXX ტური

ნიურნბერგი 3:0 ალემანია

### ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. XXVII ტური

ლიბერეცი 3:3 სინოტი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXXII ტური

გიმარაეში 1:0 ბრაგა

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. 15 მეორე წრე. 24 ტური



ალექსანდრე კაიდარაშვილმა გატანაშიც ივარგა და პასებშიც

# ფეხბურთის კომპასით არ თამაშობენ

## ნუ შერბიხარ ტყეში, ხომ გასწავლეს გზა

თბილისი. 26 აპრილი. 16 საათი. ეროვნული. 150 (ტევადობა 70 900)

### ამერი 3:0 მეტალურგი

1:0 კაიდარაშვილი (11), 2:0 რუსია (32), 3:0 კაიდარაშვილი (36)

**ამერი:** ასლანაძე, კუდელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი (ელბაქიძე 46), სილაგავა, ვერემჩუკი, განუგრავა, გარუჩავა, ნიკოლაიშვილი (დ. მჭედლიშვილი 66), რუსია ა. კაიდარაშვილი, (წინამძღვრიშვილი 66)
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**მეტალურგი:** მაჩიტაძე, წიქარიშვილი, რობაქიძე (კაპანაძე 46), ჭუმბაძე, შველიძე, ხარატიშვილი, გვენეტაძე, გეწაძე, მანჯავიძე, კ. თავბერიძე, ცერცვაძე (ბოგვერაძე 72)
**მწვრთნელი:** ზაურ ჩუბინიძე

**გაფრთხილება:** ელბაქიძე (55)

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; კ. ტეფნაძე, მ. ურუშაძე; ს. კვარაცხელია

**პაატა კედია**

**მართლაც** რამდენი სახე აქვს ერთ თამაშს! გამარჯვებული გუნდისთვის ერთია, დამარცხებულისთვის მეორე, მსაჯისთვის მესამე, ცალკეული ფეხბურთელისთვის მეოთხე, მეხუთე და ასე შემდეგ — ხომ შეიძლება, გუნდმა მოიგოს, რომელიმე მოთამაშე კი თავისი თავით უკმაყოფილო დარჩეს ან პირიქით, — ჟურნალისტისთვის ეს ყველაფერი კიდევ სხვაა, მაყურებლისთვის სხვა, პოლიციელისთვის სხვა და ასე, დაუსრულებლად. „ამერისა“ და „მეტალურგის“ შეხვედრა მაყურებლისთვის, ალბათ, მოსაწყენი იყო, მაგრამ ფაქტია: იყო სამი გოლი, იყო რამდენიმე სხვა მომენტი და იყო ზესტაფონელთა იმაზე უკეთესი თამაში, ვიდრე პირველ წრეში ვიხილეთ.

სხვათა შორის, თამაში სტუმრების უპირატესობით დაიწყო. პირველი ათი წუთი ინიციატივას „მეტალურგი“ ფლობდა და მისი ზეწოლის გამო „ამერის“ ნახევარდაცვას სამ წუთში სამი(!) თვალსაჩინო შეცდომა შევუნიშნეთ. მე-11 წუთზე კი მაინც ზესტაფონელებმა გაუშვეს გოლი. მარჯვენა ფრთიდან გიორგი სილაგავამ შეუტია, მისი პირველი პასით მამუკა რუსიამ სცადა ორიგინალური გოლის გატანა, მაგრამ ვერ მოახერხა, ბურთი ისევ სილაგავას დაუბრუნდა და ამ ნახევარმცველის ხელმეორედ ჩაწოდებული უკვე ალექსანდრე კაიდარაშვილმა შეაგდო ბადეში.

მეორე მომენტი მე-15 წუთზე ჩავინიშნეთ, ისევ სილაგავამ ივარგა და მისი პასით ისევ კაიდარაშვილმა დაარტყა, მაგრამ მეკარემ ფეხით მოიგერია.

ამ ამბიდან, ასე, ოთხ-ხუთ წუთში „ამერის“ დაცვამ ორი შეცდომა დაუშვა. ამ ორი შეცდომიდან პირველი თავად მცველებმა გამოასწორეს, მეორე კი საკმაოდ კარგი პოზიციიდან თემურ გვენეტაძის უზუსტო დარტყმით დასრულდა.

კიდევ, 27-ე წუთზე ამერელი დიმიტრი ვერემჩუკის უზუსტო დარტყმა დაგვამახსოვრდა, 29-ზე ზესტაფონელი მანჯავიძისა, 32-ე და 36-ე წუთებზე კი თბილისელებმა ორი გოლი გაიტანეს: ჯერ კაიდარაშვილმა კარგი, ჭკვიანური პასით რუსია გაიყვანა მეკარესთან პირისპირ და რუსიამ შეაგდო ოსტატურად, მერე კი კუთხურიდან ჩაწოდებული მომენტი რუსიას უშედეგო და კაიდარაშვილის შედეგიანი მცდელობით დასრულდა.

შესვენების შემდეგ შეხვედრა მეტად გაიცრიცა. ტემპი, რომელიც აქამდეც ბევრი არაფერი იყო, უფრო შენელდა, ხოლო ასეთ დროს შიგადაშიგ შექმნილ მომენტებს მაყურებლის გამოფხიზლება უჭირს.

და მაინც ჩამოვთვალოთ: 53-ე წუთზე კვლავ მარჯვნიდან ჩაწოდებული ბურთი რუსიამ ვერემჩუკს თავით გადაუგდო, ვერემჩუკმაც თავით დაარტყა, მაგრამ მასთან ძალიან ახლოს მდგომმა მეკარემ აუღო. 62-ეზე გეგი გარუჩავა შეიჭრა კვლავ და კვლავ მარჯვნიდან, რუსიას დაუგორა, ვისი დარტყმული ისევ მეკარის ულუფა შეიქნა. 66-ეზე ჯარიმიდან ჩაწოდებული გიორგი დავითნიძემ თავით ხარიხას ჰკრა, ხოლო ბოლოსწინა, 89-ე წუთზე გვენეტაძემ საჯარიმოში „ამერის“ მცველი ცრუმოძრაობით ჩამოიტოვა, პოზიცია გაიუმჯობესა და დაარტყა, მაგრამ ბურთი მეკარე დავით ასლანაძემ აუღო.

ასეთი გახლავთ ჩვენს მიერ ჩანიშნული მომენტების ჩამონათვალი, ზოგადად კი, „ამერიდან“ სილაგავას და კაიდარაშვილის შექებისკენ გაგვირბის კალამი.

მატჩის შემდეგ „მეტალურგის“ თავკაცმა *ზაურ ჩუბინიძემ* ბრძანა: „პირველ ტაიმში დაცვაში მეტი შეცდომა დავუშვით და სამი გოლი გავუშვით, მეორეში კი უკეთ ვითამაშეთ. თანაც სამი მოთამაშე გვაკლდა. ჩვენი მთავარი პრობლემა უსახსრობაა. გუნდში ხელფასი არავის აქვს. ახლა ფეროშენადნობთა ქარხანა დაფინანსებას გვპირდება და მომავალში ზესტაფონს ნამდვილი ფეხბურთი დაუბრუნდება“.

*გიორგი ჩიხრაძე*, „ამერის“ მწვრთნელი: ერთია შედეგი, მეორე კი ის, თუ როგორ შესრულდა სათამაშო გეგმა. დღეს ჩემმა ფეხბურთელებმა ტაქტიკური დავალება ვერ შეასრულეს.

**ლოკომოტივი 2 1:5 ბორდა**

**ცხინვალი 0:1 ვიტ ჯორჯია** მცხ.

**ივერია — დინამო 2** გადაიდო

**ლუკა 1:3 გურია**

**ჩიხურა 5:0 მილანი**

**თსუ 2:2 სამგურალი**

**ქობულეთი 2:0 ოლიმპი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამგურალი | 24 | 14 | 6 | 4 | 33:14 | 48 |
| ქობულეთი | 24 | 15 | 2 | 7 | 44:23 | 47 |
| რუსთავი | 24 | 14 | 3 | 7 | 36:24 | 45 |
| დინამო 2 | 23 | 12 | 4 | 7 | 63:29 | 40 |
| ოლიმპი | 24 | 11 | 6 | 7 | 31:24 | 39 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 24 | 10 | 8 | 6 | 28:16 | 38 |
| გურია | 24 | 11 | 4 | 9 | 31:30 | 37 |
| ამერი | 24 | 10 | 7 | 7 | 29:20 | 37 |
| ჩიხურა | 24 | 11 | 3 | 10 | 30:24 | 36 |
| მილანი | 24 | 10 | 6 | 8 | 25:22 | 36 |
| ცხინვალი | 24 | 10 | 6 | 8 | 34:20 | 36 |
| თსუ | 24 | 9 | 7 | 8 | 38:26 | 34 |
| ივერია | 23 | 8 | 5 | 10 | 18:33 | 29 |
| ლოკომოტივი 2 | 24 | 6 | 1 | 17 | 16:53 | 19 |
| ლუკა | 24 | 4 | 1 | 19 | 18:58 | 13 |
| მეტალურგი | 24 | 1 | 1 | 22 | 12:69 | 4 |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს უმაღლესი ლიგის 15 ჩემპიონატი, მეორე ეტაპი, 6 ტური, შედეგები

| | |
|---|---|
| სიონი 1:0 ვიტ ჯორჯია | კოლხეთი 1:0 მცხეთა |
| ლოკომოტივი 0:0 დინამო | სპარტაკი 2:1 ბათუმი |
| დილა 0:2 თბილისი | მერცხალი 0:4 ტორპედო |

# ფორცა სენსასიონი?!

ზეექვსეულში ოთხი თბილისური გუნდია, მაგრამ ლიდერი პროვინციიდანაა — როინ ონიანის გოლით ბოლნისმა ერთხელაც გაიხარა და თბილისურ გუნდებს კვლავაც მუშტს ულერებს. რა ზნე სჭირს „დინამოს"? ამაზე დასაბუთებულ და კონკრეტულ პასუხს „დინამოშიც" ვერ იძლევიან. მომდევნო ტურში შუშაკელები შინ ეთამაშებიან „სიონს" და ვინძლო ეს გარდამტეხი მატჩიც იყოს. მანამდე კი პირველი და საუკეთესო ბოლნისია. თუ სიტყვებს ავათამაშებთ, ბოლნისი ბოლონიას დაემსგავსება, მაგრამ ბოლნისში სარეაბილიტაციო ცენტრს ნაღდად ვერ იპოვით — თემურ სტეფანიას სახელობის სტადიონზე სულ ომია, „სიონს" სენსაციის მოხდენა მართლაც შეუძლია.




ფეხბურთი, მით უმეტეს, კარგი ფეხბურთი უქომაგოდ, აბა, სად გინახავთ?! ფეხბურთი იმიტომაა ფეხბურთი, ქომაგი რომ ჰყავს, ეს ქომაგი კი საყვარელი გუნდის მხარდასაჭერად სტადიონზე ცეცხლს ანთებს და ფეხბურთელებს მუხტს მატებს.

ძნელია ბოლნისში, „თამაზ სტეფანიაზე" თამაშობდე და... არ თამაშობდე. ბოლნისელ ქომაგზე ათასჯერ დაწერილა და თქმულა და ათასჯერაც კიდევ ითქმება, ითქმება, ვიდრე „თამაზ სტეფანია" არ დაცარიელდება.

ქომაგი ემოციაა, ფეხბურთი ქომაგია... აგერ, ბატონო, ფოტო, ფეხბურთი კადრსმიღმა კია, მაგრამ ამათი შემხედვარე იოლად წარმოიდგენთ, მოედანზე რაც ხდება...



ბოლნისში ალენ ქირესმა ბურთის აქეთ-იქით გორება კი არა, თამაში ნახა და კმაყოფილიც დარჩა



ბორის გონჩაროვი მთავარმეგოლის პოზიციას ინარჩუნებს

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 17 - გონჩაროვი | სიონი |
| 16 - გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| დავითაშვილი | თბილისი/ტორპედო |
| 11 - ახალაია | დინამო |
| 10 - კაკალაძე | ბათუმი/დინამო |
| 9 - მიკუჩაძე | თბილისი |

სიმბოლური ნაკრები

- ბორის გონჩაროვი — სიონი
- კობა შალამბერიძე — სპარტაკი
- იური გაბისკირია — სიონი
- დავით კვირკველია — დინამო
- ალეკო გოგობერიშვილი — დინამო
- გივი კვარაცხელია — თბილისი
- თორნიკე აფციაური — თბილისი
- როინ ონიანი — სიონი
- დავით ჭიჭველიშვილი — სიონი
- აქსენტი გილაური — სიონი
- ზურაბ მამალაძე — ლოკომოტივი

გუნდი: სიონი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

„ლოკომოტივის" სტადიონზე გამართული მატჩი დინამოელთა ხორვატი დამრიგებლისთვის მესამე აღმოჩნდა საქართველოში. აქ იგულისხმება ეროვნული ჩემპიონატის, საქართველოს თასის და ევროტურნირების შეხვედრები. ამ ასმატჩიანი ისტორიის სტატისტიკა კი ასე გამოიყურება: 70 მოგება, 15 ფრე და 15 წაგება; 214 გატანილი და 49 გაშვებული გოლი. ყველაფერი კი 2002 წლის მარტში „დინამო" — „სამგურალის" 3:0-ით დაიწყო.

მესამე მატჩი დიდი ვერაფერი გამოდგა, შუშაკელებმა უაღრესად საჭირო ორი ქულა დაკარგეს და ლიდერ „სიონს" სამი ქულით ჩამორჩნენ. კონტრაქტის ამოწურვამდე შუშაკს ეროვნული ჩემპიონატის 4 და თასის მინიმუმ ერთი მატჩი აქვს ჩასატარებელი.

## ივო შუშაკი დინამოში ასიანია



## რა ტკუილად ვიყვირეთ და ვიგინეთ?! მთელი გორი ხუთ მაისს და დინამოს ელის

გულდაწყვეტილი ტოვებდა გორელი ფანობა თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონს — მათმა სათაყვანებელმა „დილამ" შინ „თბილისთან" წააგო და ზეექვსეულში ბოლო ადგილზე ისე დგას, ჯერ გოლიც არ გაუტანია.



მაგრამ ქომაგი ნამატჩევს გულსაც იმაგრებდა — ჩვენი „დილა" 5 მაისს თასის ნახევარფინალში „დინამოს" დაეჭიდება და 26 მაისს იქნებ თბილისშიც ჩავიდეთ თასის ასაღებადო.

მოკლედ, გორელი ქომაგისთვის 5 მაისამდე ჭირ-ვარამი არ არსებობს...

## სვანაძეს მწვრთნელად თუ გააწითლებ

პარადოქსებითაა სავსე ცხოვრება. ზაურ სვანაძე ჩინებული ფეხბურთელი იყო, საიმედო და გამრჯე ნახევარმცველი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა კორექტულობით, ამიტომაც კარიერა ისე დაასრულა, მისთვის წითელი ბარათი არ აუფრიალებიათ და ის, რაც ვერ მოახერხეს ძველმა საბჭოელმა და ევროპელმა მსაჯებმა, სულ იოლად გააკეთა ალექსანდრე შილაკაძემ. შაბათს შილაკაძემ მწვრთნელი სვანაძე გააძევა. რკინიგზელთა დამრიგებელს მსაჯის ერთ-ერთი გადაწყვეტილება საეჭვოდ მოეჩვენა, რასაც ხმამაღალი პროტესტი მოაყოლა და ტრიბუნაზე აღმოჩნდა.

გაოგნებული ვარ, ეს როგორ მომივიდა, წითელი კი არა, მგონი, ყვითელი ბარათიც არ მიმიღია არასდროსო, გვითხრა ნამატჩევს უჩვეულო ვითარებაში მოხვედრილმა ზაურ სვანაძემ.



| I-VI ადგილები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:3 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 5:2 | 31 |
| დინამო | 6 | 1 | 3 | 2 | 9:6 | 31 |
| თბილისი | 6 | 3 | 3 | 0 | 11:4 | 30 |
| ლოკომოტივი | 6 | 0 | 3 | 3 | 1:7 | 20 |
| დილა | 6 | 0 | 2 | 4 | 0:14 | 19 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 6 | 4 | 1 | 1 | 13:6 | 30 |
| ბათუმი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:8 | 22 |
| მცხეთა | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 21 |
| კოლხეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 21 |
| სპარტაკი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 18 |
| მერცხალი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:11 | 6 |

### მომდევნო ტური

1 მაისი, შაბათი
დინამო – სიონი
ვიტ ჯორჯია – თბილისი
ლოკომოტივი – დილა

1 მაისი, შაბათი
კოლხეთი – მერცხალი
ბათუმი – ტორპედო
2 მაისი, კვირა
მცხეთა - სპარტაკი



## დავით კვირკველია:
# დინამოს კატენაჩოთი ებრძვიან

*დღევანდელ „დინამოში" ძნელია გამოკვეთილი ლიდერის პოვნა, თუმცა არიან სტაბილური, საიმედო მოთამაშეები. დავით კვირკველია ერთ-ერთი მათგანია.*

*კვირკველია რედაქციაში ვისტუმრეთ და მას მეტწილად გუნდში შექმნილ სიტუაციაზე ვესაუბრეთ*

— დათო, შენთვის მიმდინარე სეზონი რითაა გამორჩეული?

— იმით, რომ მეორე ეტაპზე შეხვედრებს ვერ ვიგებთ და კარგ თამაშსაც ვერ ვაჩვენებთ. ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურია დარჩენილი. ახლა მაინც უნდა გავტეხოთ ნავსი და საუკეთესო მატჩები ვითამაშოთ. არ ვიცი, რა გვჭირს, ალბათ დათარსულები ვართ.

— თანამეგობრობის თასის მოგების შემდეგ ცოტა თავდაჯერებულები ხომ არ შეხვდით ეროვნულ ჩემპიონატს და წარუმატებლობების ერთ-ერთი მიზეზი ეს ხომ არ არის?

— არა, თავდაჯერებულობა აქ არაფერ შუაშია. „დინამოს" წინააღმდეგ ნებისმიერი გუნდი რომ გაათკაცებული ენერგიით იბრძვის, ფაქტია. თანამეგობრობის ტურნირზე და კვიპროსულ შეკრებაზე ჩვენს წინააღმდეგ გუნდები სულ სხვა ფეხბურთს თამაშობდნენ, იხსნებოდნენ და ფეხის განძრევის საშუალება ჩვენც გვეძლეოდა. საქართველოში კი თითქმის ყველა გუნდი დაცვიდან გვეთამაშება. კბილებით დგანან უკან და ასეთ დახურულ მატჩებში ძნელია, შენი თამაში ითამაშო.

— წამყვანმა მოთამაშეებმა კი დატოვეს „დინამო", მაგრამ შემადგენლობით მაინც გამოირჩევით...

— ბუნებრივია, ფეხბურთელების წასვლა გუნდის თამაშზეც აისახა, მაგრამ მგონი, დღევანდელ „დინამოში" მაინც საკმარისად არიან ისეთი ფეხბურთელები, რომელთა წყალობითაც ჩემპიონობის შენარჩუნება შეგვიძლია. თუმცა მე და ვიტალი დარასელია მართლაც გამორჩეულად ვიყავით შეთამაშებულები.

— „დინამოს" თამაშის ხარისხიც არადამაკმაყოფილებელია...

— ხომ გეუბნები, რაღაც გვჭირს, ყოველი თამაშის მერე გასახდელში ბიჭებსაც ვერ აუხსნიათ, რა მოხდა. ბოლნისში ორ გოლს რომ გაიტან, თამაშს არ უნდა აგებდე. ეტყობა, ჩვენც რაღაცას ვაკლებთ, თუმცა ბოლნისის „სიონს" და „ვიტ ჯორჯიას" შინ ვიღებთ და თუ იმ თამაშებს მოვიგებთ, ფაქტობრივად, საჩემპიონო ქულებსაც დავაგროვებთ.

— საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდებიდან რომელს გამოარჩევდი?

— ძალიან მომწონს „თბილისი", ახალგაზრდული და მონდომებული გუნდია, თანაც ერთადერთი საქართველოში, ვინც გიტევს და შენც გაძლევს თამაშის საშუალებას.

— „დინამოს" თასის ფინალში გასასვლელადაც დიდი ბრძოლა ელის...

— გორში თამაში ყოველთვის ჭირდა. იქ სტადიონზე ისეთი ატმოსფეროა, რომ... თანაც სტადიონიც ალბათ გაივსება. თუმცა არის ერთი ნიუანსიც — „დილას" სიტუაცია აიძულებს, შემოგვიტიოს, ასეთ დროს კი თამაში უფრო გვიადვილდება.

— ბოლო მატჩებში წინ უფრო აქტიურად ერთვები. ეს შუშაკის ახალი დავალებაა?

— უბრალოდ, გუნდები ჩვენს წინააღმდეგ იმდენად დაცვით ფეხბურთს თამაშობენ, რომ როცა ვხედავ, ჩემს ფლანგზე ნახევარმცველი შეტევაზე არ ფიქრობს, უფრო აქტიურად მივდივარ წინ.

— წლეულს ალბათ შენს თამაშშიც შენიშნავდი წუნს...

— ვგრძნობ, რომ ისე ვერ ვარ, როგორც უნდა ვიყო. ფიზიკური მომზადების და გამძლეობის მხრივ პრობლემა ნაღდად არ მაქვს, მაგრამ წუნიანი თამაშის რეალურ მიზეზს ვერ ვხედები.

— წამყვან რუსულ თუ უკრაინულ კლუბებში რომ ვერ გადახვედი, ამას ხომ არ განიცდი?

— კონკრეტულად ჩემთვის არავის მოუმართავს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამაც მითხრა „შახტარისა" და რუსული კლუბების დაინტერესების შესახებ. „შახტარს" ჩემი დასაწუნი ნაღდად არაფერი სჭირს. პირობები შეიძლება ზოგ ევროპულ კლუბზე უკეთესიც ჰქონდეს. კიევის „დინამოს" ერთადერთი კონკურენტებიც ხომ დონეცკელები არიან.

— ამ სეზონის მერეც შეიძლება წასვლა...

— წასვლა კი შეიძლება, მაგრამ კონტრაქტით „დინამოში" კიდევ ერთი წელი უნდა ვითამაშო.

— მაისის ბოლოს „დინამოსთან" კონტრაქტი უმთავრდება ივო შუშაკს. შენი აზრით, უნდა გაგრძელდეს მასთან ხელშეკრულება?

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა, მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით — შუშაკმა ყველგან დაამტკიცა, რომ მწვრთნელია და თავისი საქმე იცის — „დინამოს" დუბლი შეასრულებინა, ესენგეს თასი მოაგებინა, ფეხბურთელების ფუნქციონალური მზადყოფნაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ნურც მისი ხელმძღვანელობით რუსეთის ნაკრების ძლევას და იმ უდიდეს სიხარულს დავივიწყებთ.

— ნაკრების ახალი მწვრთნელის, ალენ ჟირესის ხელში ერთი თამაში ჩაატარე. როგორი შთაბეჭდილებები დაგრჩა?

— ჟირესს ეტყობა, მცოდნე კაცია და დიდი ამბიციით მოვიდა სამუშაოდ, ფეხბურთელებს თამაშისთვის ფსიქოლოგიურადაც კარგად განაწყობს. მოკლედ, ნაკრებში ჟირესის მოსვლა ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს.

**დავით ერაძე**



დავით კვირკველიამ და „დინამომ" მეტოქეთა კარიდან ბურთები ხშირად თუ არ გამოიტანეს, ჩემპიონობას ვერ შეინარჩუნებენ

# ხვიჩა შუბია ხალთაში
## შუბითიძის ნახევარსაათიანი ავტოგრაფები



*პატარა გერმანულ ქალაქ ერცგებირგეში მეორე ბუნდესლიგის ლიდერი „არმინია" დიდხანს აწვალებდა მასპინძელ აუე-ს. გამოცდილ ბილეფილდელებს გოლი გატანილი ჰქონდათ და საჯარიმოში გამოკეტილ მეტოქეს მეორის გასატანად აწვებოდნენ. სტუმართა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ზედ საფინალო სასტვენის წინ აუე-მ გათანაბრება მოახერხა — მასპინძელთა იშვიათ კონტრშეტევას მოყოლილი კუთხურისას ბურთი ქართველმა ხვიჩა შუბითიძემ მოიგდო და 16-ათასიანი ტრიბუნა ააჭუგუნა*

— *ასეთი თამაში არ მინახავს, „არმინიამ" ყველაფერში დაგვჩაგრა და ქულაზე ფიქრიც კი არარეალური იყო, თუმც ბედმა ისევ გაგვიღიმა და ფაქტობრივად ერთადერთი შანსი გამოვიყენეთ — გვიყვება ხვიჩა შუბითიძე...*

— ამ ქულით აუე-მ ოფიციალურად გაინაღდა მეორე ბუნდესლიგაში დარჩენა, თუმც ბუნდესლიგაში ასვლის შანსი პრაქტიკულად დაკარგეთ...

— ამას ვინ ჩივის, ჩემთვის ძნელი წარმოსადგენიც კი იყო აუე ბუნდესლიგაში. ჩვენი უმთავრესი საზრუნავი დარჩენა იყო და ისიც საეჭვო მეგონა.

— „არმინიასთან" სათადარიგო იყავი და თქვენი მწვრთნელი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გამოტყდა, მეტოქე რომ არ დაწინაურებულიყო, შუბითიძის შეშვებას არც ვაპირებდიო.

— მაშინ, მადლობა მინდა ვუთხრა გოლისთვის ბილეფილდელებს... 67-ე წუთი იყო, მოედანზე რომ შევედი და, ფაქტობრივად, მცველად ვიქეცი, რაკიღა მეტოქე დიდი ძალით გვიტევდა. სასწაულად გადავრჩით რამდენჯერმე, ბოლოს კი როგორღაც კუთხური გავახერხეთ და კარიდან ხუთ მეტრში ბურთიანად აღმოვჩნდი, არ გამჭირვებია გატანა, მერე უფრო გამიჭირდა...

— რას გულისხმობ?

— ბოლო თამაშებია, ჩვენი 16-ათასიანი სტადიონი ბოლომდე ივსება. მშვიდობიანი, მაგრამ ემოციური ქომაგი გვყავს. გოლი რომ გავიტანე, ჯერ ხომ ლამის ჩამოინგრა ტრიბუნები მათი ხტუნვით, მერე კი ფეხბურთელებისთვისაც მოიცალეს. ჩვენთან ასეთი წესია: თამაში რომ მორჩება, გუნდი მადლობის ნიშნად ტრიბუნებს ჩამოუვლის და 5-10 წუთი ქომაგთან რჩება. ეს დრო კი ჩემთვის ნახევარ საათს გაგრძელდა, კალმისა და ფურცლების მეტი არაფერი მახსოვს, გაუთავებლად ვარიგებდი ავტოგრაფებს. გასახდელში რომ ჩავედი, ზოგიერთი თანაგუნდელი უკვე ჩაცმულიც დამხვდა.

— „არმინიასთან" გატანილი გოლი შენთვის მეშვიდე იყო ამ სეზონში. შეძლებ ათამდე დამრგვალებას?

— მომავალ მატჩში ალბათ ძირითადში დამაყენებენ. დარჩენილ ოთხ ტურში შედარებით იოლი მეტოქეები გვყავს და თუკი მეტი სათამაშო დრო მომცეს, ეგებ შევძლო კიდეც ათამდე ასვლა.

**პაატა ქვანტალიანი**

# ხიზანიშვილიც ბენეშისაა

*იყო მცირე ხანი, როცა ტრავმამოშუშებულ ზურაბ ხიზანიშვილს „რეინჯერსის" ძირითადში ხელახლა დამკვიდრება გაუჭირდა, მაგრამ თითქმის თვენახევარია, რაც ზურა შეუცვლელად თამაშობს სასტარტოში. შოტლანდიის ჩემპიონატის დამთავრებას ოთხი ტური უკლია, „სელტიკის" და „რეინჯერსის" დავა უკვე დამთავრებულია, მაგრამ ხიზანიშვილს წინ არცთუ პატარა ამბები ელის...*

— ბოლო დროს მეტწილად რა პოზიციაზე თამაშობ?

— დაცვის ცენტრში ფრანკ დე ბურთან ერთად. მასთან თამაში მიადვილდება და სასიამოვნოცაა, ასეთ ფეხბურთელთან რომ ხარ წყვილში. ამით ბევრ რამეს ვსწავლობ და თან ეს დამატებით სტიმულსაც მძენს. თამაშის დროს მე და ფრანკი ხშირად ვსაუბრობთ, ტყუპისცალი სასარგებლო რჩევებს მაძლევს.

— ამ სეზონში „რეინჯერსს" ყველა ფრონტზე ხელი მოეცარა, ერთი ეგ იყო, საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლია და ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშა — ალბათ ერთი სული გაქვს, სეზონი როდის ჩამთავრდება...

— მთლად ასეც არაა საქმე. 8 მაისს „სელტიკს" ვსტუმრობთ — სეზონში ვერცერთი „ოლდ ფირმი" ვერ მოვიგეთ და ამ შეხვედრას „რეინჯერსი" დიდი მნიშვნელობას ანიჭებს.

— უკვე სამნახევარი სეზონია, შოტლანდიაში თამაშობ, მაგრამ გოლი ჯერაც ვერ გაიტანე — შეტევაში წასვლას ერიდები?

— შეტევაში წავალ თუ არა, ეს მწვრთნელზეცაა დამოკიდებული. სტანდარტულების დროსაც უკან მიწევს დარჩენა — ასეთია მწვრთნელის დავალება. მაგრამ გოლს აუცილებლად გავიტან, თუმც ამას თავისებური ალღო და გამოცდილება უნდა, რაც მცველისთვის არცთუ იოლი გამოსამუშავებელია.

— რამდენიმე თვის წინ ლაპარაკი იყო ხიზანიშვილით „რეინჯერსზე" უფრო სახელიანი გუნდების დაინტერესებაზე — მალე სანტრასფერო მიდი-მოდი მთელი სიმძლავრით ამოქმედდება და ხომ არ გამოჩნდა უკვე კონკრეტული ვარიანტებიც?

— ჯერ დარჩენილ ოთხ თამაშს ვითამაშებ, შემდეგ ცოტას დავისვენებ და ამ თემაზე კონკრეტულს მერელა ვიტყვი — მოვლენებს წინ არ გავასწრებ.

— რაც ათოლ სტილთან კავშირი გაწყვიტე, აგენტის გარეშე დარჩი?

— არა, ახლახან ივან ბენეშთან გავაფორმე ხელშეკრულება.

**დავით თავართქილაძე**




# ექიმობენ თუ ექიმბაშობენ: ასათიანი ფეხზე ვერ დადგა

## რიგი ქართველზე და რიგელების ქართველები

*მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. გავიდა ოთხი ქართული გოლი; გერმანიაში კვლავ წყვილად ნაავეს ბუნდესლიგელმა ქართველებმა; „სკონტომ" ლევან კორღალიძის დარტყმულით დაიბრუნა ძველი და ჩვეული ადგილი; რუსეთში ერთადერთმა ქართველმა ითამაშა, დანარჩენების გრაფაში კი ისევ უმნეო ნულები ანთია; მშრალად გაატარა უქმეები დონეცკელმა ბომბარდირმა გიორგი დემეტრაძემ; გოლით დაუბრუნდა მოედანს ტვენტელი გოგა გახოკიძე...*

*თითქმის ეს არის ქართველთა ევროპული მონაგარი, რაზეც ბარემ უფრო კონკრეტულადაც მოგახსენებთ...*

***გოგა გახოკიძის დაბრუნება, გოლი და „ტვენტეს" გამოფხიზლება ერთი იყო.*** ენსხედელებმა 2:0 მოუგეს „ტილბურგს" და ამაში ჩვენებურმა მთავარი როლი ითამაშა. გოგამ 56-ე წუთზე დაამწუხრა სტუმრები და თავის გუნდს ექვსტურიანი მოუგებელი სერია შეუჩერა. გახოკიძის კარგი თამაში წლეულს ბევრმა შენიშნა და, გასაკვირიც არაა, ქართველ ნახევარმცველს მსურველთა რიგი რომ დაუდგა. ასე რომ, დიდი შანსია, გახოკიძემ ახალი სეზონი სხვა კლუბში ან სულაც სხვა ქვეყანაში დაიწყოს.

***„რუს" ქართველთაგან ამჯერად მხოლოდ მიხეილ აშვეთიამ ითამაშა.*** მოსკოვის „ლოკომოტივში" ***მალხაზ ასათიანსაც*** უნდა ეთამაშა, მაგრამ მოთელვისას მას კუნთი ისევ ასტკივდა და სამატჩო განაცხადიდანაც სასწრაფოდ ამოწერეს. რუსი ექიმების საქციელი კი უკვე საშიში ხდება — გეხსომებათ, ასათიანი რამდენიმე დღის წინ „შინიკთან" მატჩის პირველივე წუთზე დაშავდა და შესაცვლელი შეიქმნა. მალხაზს ვარჯიშიც არ შეეძლო; თუმც ექიმებმა „ვერაფერი" აღმოუჩინეს და თამაშის ნება დართეს. შედეგს ყველა ხედავს — ასათიანი ისევ ტრავმირებულია.

***„სკონტომ" ლევან კორღალიძის გოლით მოუგო „მეტალურგს"*** და ქულებით გაუთანაბრდა პირველადგილოსან „ვენტსპილსს". ბოლო ორი ტურია, რიგელები ქართველის გოლით იგებენ. წინა თამაშში ***ზურაბ მენთეშაშვილმა*** სწორედ „ვენტსპილსთან" იყოჩაღა და გუნდს ქულა მოუტანა.

***გიორგი დემეტრაძემ ვერც ამჯერად შეაგდო*** და „მეტალურგმაც" ვერ მოიგო. დონეცკელები სტუმრად „ბორისფენს" დაუზავდნენ. დემეტრაძის დარად, 90 წუთი დაჰყო მოედანზე გოჩა ჯამარაულმაც, თუმც მოსაწყენ თამაშში ჩვენებურები დიდად არ გამორჩეულან.

ეს იყო და ეს. სათქმელი მეტი არაფერია...

**კახა შალამბერიძე**




აარაუელმა მიხეილ ყაველაშვილმა თავის ყოფილ გუნდ „გრასჰოპერთან" საამსეზონო მეექვსე გოლი გაიტანა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | უდინეზე 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 4 | 0 | 1 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ჰანზა 1:3 | 90 | | 26 | 0 | 7 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | აინტრახტი 0:3 | 56 | შეცვალეს | 26 | 7 | 11 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | აინტრახტი 0:3 | 90 | | 25 | 4 | 11 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | არმინია 1:1 | 23 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 26 | 7 | 7 |
| დავით სირაძე | უნიონი | ს | ოსნაბრიუკი 2:0 | 90 | | 8 | 1 | 17 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ადმირა 2:0 | 90 | | 24 | 1 | 9 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | აარაუ | ს | გრასჰოპერი 1:4 | 90 | 1 გოლი | 11 | 6 | 8 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ტილბურგი 2:0 | 84 | 1 გოლი, შეცვალეს | 25 | 3 | 8 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | დანდი იუნ. 3:3 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 12 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | დანდი იუნ. 3:3 | 90 | | 19 | 0 | 2 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | როტორი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 0 | 5 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | ს | როტორი 2:2 | 90 | | 6 | 0 | 5 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | ს | როტორი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | ცსკა 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 4 | 1 | 10 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | ცსკა 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 0 | 10 |
| რატი ალექსიძე | როსტოვი | ს | სატურნი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 4 | 0 | 15 |
| გიორგი ლომაია | სპარტაკი | ს | რუბინი 0:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 3 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო | ს | ამკარი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | ზენიტი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | შ | ლოკომოტივი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 0 | 6 |
| კახა მუავანაძე | ანჟი | შ | ლოკომოტივი 0:1 | 85 | შეცვალეს | 6 | 0 | 6 |
| ედიკ საჯაია | არსენალი | შ | ლუჩ-ენერგია 0:1 | 90 | | 6 | 0 | 13 |
| გიზო ჯელაძე | სოკოლი | შ | მ. კუზბასი 3:0 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 2 |
| ზურაბ ფოფხაძე | მ. კუზბასი | ს | სოკოლი 0:3 | 32 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 20 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | ს | სოკოლი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 20 |
| ვასილ გიგიაძე | ურალანი | | ტური გამოტოვა | | | 2 | 0 | 9 |
| პაატა ჯინჭარაძე | ნეფტეხიმიკი | ს | დინამო 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 21 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | ბორისფენი 1:1 | 90 | | 21 | 1 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | ბორისფენი 1:1 | 90 | | 20 | 12 | 4 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | ს | ზირკა 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | ს | დნიპრო 1:3 | 0 | სათადარიგო | 15 | 2 | 14 |
| გია ჭანტურია | ტავრია | ს | დნიპრო 1:3 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 14 |
| გიორგი იმედაძე | ტავრია | ს | დნიპრო 1:3 | 0 | | 6 | 1 | 14 |
| კახა ჩხეტიანი | ტავრია | ს | დნიპრო 1:3 | 90 | | 7 | 0 | 14 |
| ზვიად ჩხეტიანი | ტავრია | ს | დნიპრო 1:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 14 |
| გოჩა ტრაპაიძე | ვოლინი | ს | კრივბასი 0:3 | 0 | | 2 | 0 | 11 |
| გელა შეყილაძე | არსენალი | შ | ჩერნომორეცი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 0 | 6 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | დარდანელი 4:1 | 90 | | 23 | 0 | 5 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიკა | ს | ვისლა 1:3 | 0 | | 19 | 1 | 3 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | შ | ლევსკი 1:2 | 0 | | 4 | 0 | 4 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | ლოკომოტივი 1:8 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 1 | 8 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:0 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 5 | 2 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:0 | 90 | | 5 | 1 | 2 |
| გიორგი ყიფიანი | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:0 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 2 |
| თამაზ პერტია | დინაბურგი | შ | აუდა 2:0 | 76 | შეცვალეს | 5 | 0 | 4 |
| **მოლდოვა. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | ს | ნისტრუ 1:1 | 90 | | 21 | 3 | 2 |
| მურთაზ ბურნაძე | შერიფი | ს | ნისტრუ 1:1 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 2 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| კახა კვეტენაძე | ორდაბასი | ს | ყაირათი 0:3 | 39 | შეცვალეს | 4 | 0 | 6 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | ს | აქტობე-ლენტო 1:0 | 90 | | 4 | 0 | 2 |
| ლევან ბაჯელიძე | ატირაუ | შ | ირტიში 1:0 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 5 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელ კლასიკოს კლასიკური გაგრძელება

## ფიგუ მსაჯზე, რაული ვალდესზე

ამას მარჩიელობა არ სჭირდებოდა — „ელ კლასიკო“ რა შედეგითაც უნდა დასრულებულიყო და თამაში როგორც გინდა წარმართულიყო, გარჩევა უეჭველად იქნებოდა. ბაქი-ბუქისა თუ ბრალდებების, ღვთის წყალობისა თუ უიღბლობაზე ლაპარაკის გარეშე აქამდე არც ერთ „ელ კლასიკოს“ არ ჩაუვლია და გამონაკლისი რაღა გუშინწინდელი „რეალი“ — „ბარსა“ გახდებოდა, მით უფრო, რომ გასარჩევი და საწუწუნო მართლაც ბევრი იყო — ვიქტორ ვალდესის სასწაულებით დაწყებული და ლუიშ ფიგუს გაძევებით დამთავრებული.

ამ გარჩევა-წუწუნში კი ვფიქრობთ, ყველაზე საინტერესო მწვრთნელ-ფეხბურთელთა ნააზრევი უნდა იყოს. ქვემოთ სწორედ რეალელთა და ბარსელონელთა მატჩის შემდგომ კომენტარებს გთავაზობთ



### კარლუშ კეიროში

ყველაფერი გავაკეთეთ, რათა „ელ კლასიკო“ ჩვენთვის სასარგებლოდ დასრულებულიყო. მეტოქეზე მეტი საგოლე მომენტიც შევქმენით, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე ტაიმში ფიგუს გაძევებამ გუნდის წონასწორობა მთლიანად დაარღვია, რაც „ბარსელონამ“ კარგად გამოიყენა. სტუმრებმა შეუპოვარი ხასიათი და მოგებისადმი სწრაფვა გამოავლინეს ვალიარებ — „ბარსას“ ორივე გოლი შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ორივე უფრო ჩვენი მცველების დაუდევრობით გავიდა და არა სტუმართა თავდასხმის ორგანიზებულობით. არბიტრზე ვერაფერს გეტყვით. ასეთი მატჩის მსაჯობა, თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს და, ჩემი აზრით, ბურულს საბედისწერო შეცდომა არ დაუშვია. რონალდოს მონაწილეობით თუ შეძლო „რეალს“ თამაშის გადარჩენა? ძნელია ამაზე პასუხის გაცემა, ალბათ კი.



### ფრანკ რაიკარდი

„რეალმა“ მთელი თამაში გოლის ძიებაზე ააწყო და მატჩი ორმხრივად დაძაბული, საინტერესო გამოვიდა. „ბერნაბეუდან“ სამი ქულის წამოღება ძალიან გაგვიჭირდა, რადგან მადრიდელები ფანტასტიკურად თამაშობდნენ, თუმც ფანტასტიკური იყო ვიქტორ ვალდესიც, ჩვენი მეკარე სასწაულებს ახდენდა... პირველ ტაიმში ჯოჯოხეთური დარტყმები მოიგერია. ჩვენი ორივე გოლიც ძალიან ლამაზად გავიდა. თამამად შემიძლია გითხრათ — რონალდინიო პრიმერას საუკეთესო მოთამაშეა, ბრაზილიელის ბრწყინვალე პასს ხავის არანაკლებ ეფექტური საგოლე დარტყმა მოჰყვა. ახლა ჩემპიონობა არც ისე შორეული და დაუჯერებელია.

### რობერტო კარლოსი

კმაყოფილი ვარ, კარგად რომ ვითამაშეთ. ინჩასებს ჩვენდამი სასაყვედურო არაფერი ჰქონდათ, განსაკუთრებით პირველი ტაიმის მსვლელობისას. ბედმა დაგვალალატა — სულ მცირე სიზუსტეც და მოვიგებდით. ბურთი ვირივით გაჯიუტდა — კარში შესვლა არ უნდოდა. ფიგუ უსამართლოდ დაისაჯა. ვარდნა სახიფათო კი იყო, მაგრამ არც ისე უხეში, რომ ბურულს ლუიში მოედნიდან გაეძევებინა. პირველი ყვითელი ბარათიც გაუგებარ ვითარებაში მიიღო. ინციდენტის შესახებ მსაჯს შევეკითხე, მიპასუხა, ფიგუ უხამსად შემელაპარაკაო...

### რაული

„რეალმა“ მეტოქეზე ბევრად უკეთესად ითამაშა. „ბარსამ“ მხოლოდ ფიგუს გაგდების მერე მოახერხა თავის შესაძლებლობათა გამოყენება. პირველი ადგილისთვის ბრძოლას აუცილებლად გავაგრძელებთ. გნებავთ დერბის საუკეთესო მოთამაშე დაგისახელოთ? ვიქტორ ვალდესი. არ მესმის, იმ ეპიზოდში როგორ მოახერხა ჩემი დარტყმის უკუგდება. წარმოუდგენელ რამეებს სჩადიოდა... ფიგუ არ უნდა გაეგდოთ. ჩემი აზრით, იგი და პუიოლი უბრალოდ, ბურთისთვის იბრძოდნენ.






### ლუის ენრიკე

„ბარსას“ ახლა საუკეთესო დრო უდგას. „რეალთან“ მოგებით მთელი გუნდი აღტაცებულია. შესვენების შემდეგ მოედანზე რომ გავდიოდით, გამარჯვებისა არც გვეეჭვებოდა. პრიმერაში ოთხი თამაში გვრჩება, შევეცდებით, ოთხივე მოვიგოთ და მერე ვნახოთ, საჩემპიონო საქმე როგორ წარიმართება... ერთადერთი ცუდი, რაც დერბიში მოხდა, პუიოლის ტრავმაა.

### ვიქტორ ვალდესი

მატჩის წინ ვღელავდი. დარწმუნებული ვიყავი, „რეალი“ ჩვენს საჯარიმოს დიდი ძალებით მოასკდებოდა. მადრიდელებმა მართლაც მძლავრად შემოგვიტიეს, მაგრამ მგონი, კარში საკმაოდ მყარად ვიდექი. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. ეს სამი ქულა საჩემპიონო შანსებს გვინარჩუნებს. ვფიქრობ, მომავალ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა უკვე განაღდებული გვაქვს, თუმცა როგორც გითხარით, პრიმერადივიზიონის ლიდერობასაც არ გამოვრიცხავ.

### ხავი

დიდი გამარჯვებით და განსაკუთრებით ჩემი გოლით კმაყოფილი დავრჩი. რონალდინიო გენიალური ფეხბურთელია, მისი პასის მერე ვალდებული ვიყავი, კასილიასისთვის მეჯობნა... ჩვენ მწვრთნელის დავალება შევასრულეთ, მოედნის ცენტრში მეტოქეს თავისუფალი გადაადგილების საშუალება არ მივეცით. დარწმუნებული ვარ, ასე თუ გავაგრძელეთ, მეტოქეები ჩემპიონობას ვერ შეგვეცილებიან.



„ბარსას“ მეგოლეები: პატრიკ კლუივერტი და ხავი

## ლუიშ ფიგუ

კარლეს პუიოლს საერთოდ არ შევხებივარ. პერეს ბურულს არ უნდა გავეძევებინე. მთელმა „ბერნაბეუმ“ ნახა, რომ ჯარიმა არ იყო. ჩემი აზრით, მსაჯი მატჩის დასაწყისიდანვე ცდილობდა „რეალი“ დაეზარალებინა. პირველი ყვითელი ბარათიც უსამართლოდ მივიღე. იქნებ ვინმემ ამიხსნას, საიდან დაადგინა ბურულმა, თანამსაჯს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მივმართე თუ არა? ვცდილობდი გვერდითი მსაჯისთვის ამეხსნა, რომ ბურთმა „ბარსელონას“ კარის ხაზი ნამდვილად გადაკვეთა, უხამსი არაფერი მითქვამს. თან გაითვალისწინეთ — მთავარი არბიტრისგან ზურგით და მოშორებით ვიდექი, თანამსაჯსაც მისთვის არაფერი უნიშნებია... ესე იგი, პერეს ბურული ვითარებაში საერთოდ ვერ გაერკვა. ის მხოლოდ „რეალის“ შეცდომებზე „ნადირობდა“. ასე კი, დამეთანხმებით, ნებისმიერი თამაშის მოგება ძალიან ძნელია. შეხვედრის შედეგით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ, მაგრამ პრიმერას მოგების შანსს ვინარჩუნებთ, რაც ამ ეტაპზე ყველაზე მთავარია. ჩემმა გაძევებამ დერბიზე გადამწყვეტი გავლენა იქონია, კაცნაკლულმა „რეალმა“ წესიერად ვერ იბურთავა, ამიტომაც „ბარსას“ ჩვენზე ძლიერ გუნდად არ ვთვლი. იმედია, გულშემატკივარი ყველაფერს სამართლიანად შეაფასებს. მოსაგებად თავი არ დაგვიზოგავს, თუმცა ბედისა და არბიტრის სისუსტის გამო, სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხეთ...



კარლეს პუიოლი ბარსელონაში ხელჯოხით დაბრუნდა

# ბილბაომ ვალენსიას ხელი წააშველა

**ესპანეთი**

პრიმერადივიზიონი
XXXIV ტური

**ბილბაო 1:1 ვალენსია**

0:1 ხორხე ლოპესი (23), 1:1 დელ ორნო (30)
ბილბაო: არანსუბია, ლაკრუსი, ა. კარანკა, ორბაისი, იესტე, ხავი გონსალესი, ირაოლა (არიაგა 67), გურპეგი, დელ ორნო (ლარასაბალი 39), ხ. ეჩებერია, ურსაისი
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, რ. აიალა, გარიდო, მარჩენა (ბარახა 80), დავიდ ნავარო, ვისენტე (ხისკო 82), ხორხე ლოპესი, სისოკო, ანგულო, ოლივეირა (რუფეტე 70)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: მარჩენა, აიალა, ორბაისი, იესტე, ეჩებერია
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
36 000 მაყურებელი

სხვისი არ ვიცით, მაგრამ უეჭველია, რომ უკლებლივ ყველა ვალენსიელი გუშინწინდელ „ელ კლასიკოში“ „ბარსელონას“ გულშემატკივრობდა. მიზეზის საძიებლად შორს წასვლა არ გვჭირდება, საკმარისია ცხრილს ჩავხედოთ — „ვალენსიას“ ბილბაოში ოღონდ არ წაეგო და პირველ ადგილზე მყარად მოიკიდებდა ფეხს. აქვე გავიხსენოთ, „ბილბაო“ — ვალენსია“ რომ დაიწყო, „ელ კლასიკო“ უკვე დამთავრებული იყო.

„ვალენსიას“ ბასკთა ქვეყანაში აკლდნენ დავიდ ალბელა და პაბლო აიმარი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მალევე დაწინაურდა.

რიკარდო ოლივეირამ ბილბაოელთა დაცვა გაარღვია და მეკარესთან პირისპირაც რჩებოდა, როცა ხესუს მარია ლაკრუსი ფეხებში ჩაუვარდა. ორივე ფეხბურთელი მინდორზე გასრიალდა, უიღბლო ბასკს კი ბურთი ხელზე მოხვდა და რაკი ეს ყველაფერი საჯარიმო მოედნის შიგნით ხდებოდა, არბიტრმა ხავიერ ტურიენსო ალვარესმა პენალტი დანიშნა. „ათლეტები“ მსაჯის გადაწყვეტილებამ ცხადია, გაავა, მაგრამ რაღას გააწყობდნენ. ხორხე ლოპესმა კი ლონიერი დარტყმით ანგარიში გახსნა.

გამთანაბრებელი კი ასიერ დელ ორნომ გაიტანა. ფრანსისკო იესტემ საჯარიმო ჩაჰკიდა და დელ ორნო ყველაზე მაღლა ახტა.

ისე, „ბილბაოს“ ქულა არანაკლებ სჭირდებოდა, რაკი „ოსასუნას“ და „ატლეტიკოს“ დამარცხების მერე უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლთა შორის დაწინაურების კარგი შანსი ჰქონდა.

**ᲙᲝᲢᲔ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 34 | 21 | 8 | 5 | 66:24 | 71 |
| რეალი | 34 | 21 | 7 | 6 | 67:42 | 70 |
| ბარსელონა | 34 | 19 | 9 | 6 | 57:35 | 66 |
| დეპორტივო | 34 | 18 | 8 | 8 | 54:32 | 62 |
| ბილბაო | 34 | 14 | 10 | 10 | 47:41 | 52 |
| ოსასუნა | 34 | 11 | 15 | 8 | 36:31 | 48 |
| ატლეტიკო | 34 | 13 | 9 | 12 | 41:44 | 48 |
| ვილიარეალი | 34 | 13 | 8 | 13 | 42:43 | 47 |
| მალაგა | 34 | 14 | 5 | 15 | 45:49 | 47 |
| სევილია | 34 | 12 | 10 | 12 | 49:42 | 46 |
| ბეტისი | 34 | 11 | 13 | 10 | 42:38 | 46 |
| სოსიედადი | 34 | 10 | 10 | 14 | 40:47 | 40 |
| ალბასეტე | 34 | 11 | 7 | 16 | 34:42 | 40 |
| სარაგოსა | 34 | 10 | 9 | 15 | 40:50 | 39 |
| რასინგი | 34 | 10 | 9 | 15 | 44:58 | 39 |
| მალიორკა | 34 | 11 | 6 | 17 | 43:60 | 39 |
| ვალიადოლიდი | 34 | 9 | 10 | 15 | 40:51 | 37 |
| ესპანიოლი | 34 | 11 | 4 | 19 | 41:56 | 37 |
| სელტა | 34 | 8 | 12 | 14 | 43:59 | 36 |
| მურსია | 34 | 3 | 11 | 20 | 25:52 | 20 |



ისმაილ ურსაისმა და დავიდ ნავარომ ბურთი ვერ გაიყვეს




# გოლი? არა რეკლამა!

## კი არიან ერთად მარა ბერნაბეუმ ნახა სარა





**ᲙᲕᲘᲠᲐ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ** ვიქტორია ბექემი საჯაროდ, 75 ათასი ადამიანის თვალწინ შეურაცხყვეს. ეს მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოხდა, როდესაც მინდორზე „ელ კლასიკოს“ ვნებანი დუღდა და ამ დუღილში მისი მეუღლე, დევიდიც მონაწილეობდა.

„ბერნაბეუს“ ტაბლოზე მოულოდნელად სარა მარბეკის სახე გამოისახა. სარა მარბეკი ის ქალბატონია, რომელიც ამტკიცებდა, დევიდ ბექემთან ორი საუცხოო წელი მაკავშირებდა და რომლის გამოც (თუმც არა მხოლოდ მის გამო) პოშ-ვიქტორიას ლამის ოჯახი დაენგრა.

გამოისახა სარა მარბეკის ვეება სახე „ბერნაბეუს“ ეკრანზე, ამ დროს კი ვიქტორია ადამს-ბექემი, ორ შვილთან, ხუთი წლის ბრუკლინთან და 19 თვის რომეოსთან ერთად ტრიბუნაზე იჯდა.

რა უნდოდა მაცდური ქალის გამოსახულებას სტადიონის ეკრანზე? ყველაფერი მარტივია, ეს გახლდათ ესპანური, ყოველკვირეული საჭორაო ჟურნალის, „ინტერვიუს“ რეკლამა. დღეს ამ ჟურნალის ახალი ნომერი გამოვა და ესპანელი მკითხველი იხილავს სტატიას: „სარა მარბეკი, ბექემის მალაიზიური სიყვარული“.

მალაიზიური იმიტომ, რომ ქალი დაბადებით მალაიზიელია, ხოლო რეკლამა როგორც აქეთ, ასევე იქითა ტაბლოზე ექვსჯერ (!) გავიდა.

ამასობაში კი მადრიდს დაუბრუნდა ბექემიანთ ოჯახის კიდევ ერთი დამანგრეველი ქალი რებეკა ლოოსი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ მარჯვნივ და მარცხნივ არიგებდა ინტერვიუებს და ყვებოდა როგორ იკოტრიალა ინგლისის ნაკრების კაპიტნის საწოლში. ლოოსი დასასვენებლად იყო წასული, ხოლო ესპანეთის დედაქალაქის აეროპორტში 52 წლის დედა, ელიზაბეტი დახვდა. ამბობენ, ის სატელევიზიო შოუებში გამოსვლას და ცხელი ამბების მოყოლას კიდევ აპირებსო.

**ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲙᲔᲓᲘᲐ**

# პაულეტამ პარიზი პორტუგალიას დააჯახა

**საფრანგეთი**

პირველი დივიზიონი
XXXIII ტური

**პსჟ 2:1 მარსელი**

1:0, 2:0 პაულეტა (12, 62), 2:1 ბატლე (90)
პსჟ: ლეტიზი, პაინცე, დეუ, მენდი, სორინი, პიერ-ფანფანი, ჩანა, მბამი, ფიორეზე (უგო ლეალი 84), პაულეტა (ბოშკოვიჩი 87), ლიუბოია (რეინალდო 80)
მარსელი: ბარტეზი, ბეიე, მეიტე, ჰემდანი (ეკერი 21), დ. ფერეირა, დოს სანტოსი, ფლამინი, ს. ნდიაიე, მერიემი, დროგბა, კოკე (ბატლე 60)
გაფრთხილება: ჩანა, მენდი
მსაჯი: ერიკ პულა
41 978 მაყურებელი

ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს ლუიშ ფელიპე სკოლარი პედრო პაულეტას სთხოვს, რადგან ბრაზილიელი 16 მაისიდან პორტუგალიის ნაკრების თავმოყრას აპირებს.

ბოსნიელ მწვრთნელს მთავარმეგოლე გასაშვებად არ ემეტება. ამის გამო პსჟ-ს და ევრო 2004-ის მასპინძლები უკვე შეკამათდნენ.

ჰალილჰოჯიჩი პაულეტას იმიტომ ვერ ელევა, რომ პარიზელებს ჩემპიონობის კარგი შანსი აქვთ. ხოლო პორტუგალიელის გარეშე პსჟ-ს შეტევა შესუსტდება. მან ამ სეზონში გუნდის გოლების მესამედი გაიტანა, „მარსელთან“ კი დუბლი შეასრულა.

მასპინძლებმა ზღვისპირელი სტუმრები მატჩის განმავლობაში აშკარად დაჯაბნეს. ამას ფაბიენ ბარტეზის ლლაბუციც დაემატა და პაულეტამ ანგარიში მალე გახსნა, კარიდან წინ გამოსულ ბარტეზს ბურთი ბადეში ჩაუსრიალა.

პარიზელთა ფორვარდმა მეორე შესვენების შემდეგ მოხდენილი დარტყმით გაიტანა. პაულეტას, რომელიც ხვალ 31 წლის ხდება, ჰეთ თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ მეკარემ არ დაანება.

პსჟ-ს „ლიონისგან“ სამი ქულა აშორებს, ორივე გუნდი ევროთასებისგან თავისუფალია. ჩემპიონობის მსურველთაგან „მონაკოსაც“ ვერ გამოვრიცხავთ და დარჩენილ ხუთ ტურში ფრანგული ოქროსთვის ფიცხელი ბრძოლა გაიმართება.

**ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**



პედრო პაულეტას მარსელელებმა ჰეთ თრიქი არ დაანებეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომაელები გარბიან

## ბალდინიმ ემერსონს ჭორი უწოდა





**იონ კარეუ** ამ წუთისთვის ბოლო რომაელია, რომელმაც გუნდიდან წასვლაზე დაიწყო ლაპარაკი. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ, როგორც კი სეზონი დასრულდება, ფაბიო კაპელოს გუნდს სერიოზულად დაერევიან ფულიანი კლუბები.

„იონის თაობაზე რამდენიმე წინადადება მივიღე“ — თქვა კარეუს აგენტმა. საინტერესოა, რომ ზუსტად ამ დღეს „რომას“ მისმა კიდევ ორმა ფეხბურთელმა, მცველმა ვალტერ სამუელმა და ნახევარმცველმა ემერსონმა სთხოვა გათავისუფლება.

კარეუს ასეთი თხოვნის მეტი უფლება აქვს, რადგან იგი „რომას“ საკუთრება არ არის. 25 წლის ფორვარდი ესპანური „ვალენსიას“ წევრია, ხოლო „რომას“ „ვალენსიასთვის“ მისი გამოსყიდვის შესახებ არაფერი უთქვამს. მიმდინარე სეზონში ნორვეგიელმა რომაელთა შემადგენლობაში 17-ჯერ ითამაშა და ხუთი გოლი შეაგდო. ამბობენ, რომ მისი მომდევნო გუნდი ბრიტანული იქნება.

„მისი შეძენა ევროპის ხუთ ძალიან საინტერესო კლუბს სურს — დასძინა ზემოხსენებულმა აგენტმა — ამ ხუთი კლუბის გარდა კი არის კიდევ ერთი, „გლაზგო რეინჯერსი“, რომელმაც თავისი წინადადება უკვე წერილობითი ფორმით დაგვიდო მაგიდაზე“.

რაც შეეხება ზემოხსენებულ ემერსონს, მისმა საქმემ სხვა გაგრძელება მიიღო. კვირას ტურინულმა გაზეთმა „ტუტოსპორტმა“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ „იუვენტუსს“ ამ ბრაზილიელ ფეხბურთელთან დაკავშირებით უკვე ყველაფერი გარკვეული და მოგვარებული ჰქონდა. ერთი სიტყვით, „ტუტოსპორტის“ მიხედვით, ემერსონი მომავალი სეზონიდან „ბებერი ქალბატონის“ გვარდიელი უნდა გამხდარიყო, მაგრამ „ჯალოროსის“ სპორტულმა დირექტორმა, ფრანკო ბალდინიმ საკმაოდ კატეგორიულად უარყო ეს ხმები.

„ემერსონი „იუვენტუსში“? ეს ჭორია“ — მოკლედ მოჭრა ბალდინიმ.

ხოლო ის, რასაც „რომას“ სპორტდირექტორმა ჭორი უწოდა, კონკრეტულად ასე ჟღერდა: ლევერკუზენის „ბაიერის“ ყოფილ ვარსკვლავში „იუვე“ 20 მილიონ ევროს იხდიდა. საქმე ისაა, რომ ემერსონი კონტრაქტის თანახმად, „სტადიო ოლიმპიკოზე“ ერთი წელი უნდა დარჩეს და თუ „რომამ“ მისი სარფიანად გაყიდვა ახლავე არ იჩქარა, გაისად ამ დროს თავისუფალი აგენტის სტატუსით წაუვა.

და მაინც, სულ არ არის გამორიცხული, რომ „რომა“ უბრალოდ ვაჭრობს ანუ მაზანდას სწევს. ემერსონის შეძენის მსურველი ხომ მარტო „იუვე“ არ არის. ამბობენ, ამ ბრაზილიელით „რეალი“ და „ჩელსიც“ დაინტერესებულნი არიანო.

**პაპუნა ძიდია**

# ჩაო, რობერტო?

*მაშასე, რობერტო ბაჯო იტალიის ნაკრებს უბრუნდება — ხვალ „სკუადრა აძურა“ ამხანაგურ შეხვედრას ატარებს ესპანელებთან და ეს მატჩი „ცხენისკუდას“ (მოგეხსენებათ, ასე ეძახიან ვარცხნილობის გამო) გამოსათხოვარ თამაშადაა ჩაფიქრებული. ხოლო სეზონი რომ დამთავრდება, ბაჯო საერთოდ ფეხბურთელობას დაანებებს თავს, თუმცა...*



ბოლო ცნობის თანახმად, კვირას, იტალიის ჩემპიონატის 31-ე ტურში, „ბრეშასა“ და „პერუჯას“ 1:1 დამთავრებულ შეხვედრაში ვეტერანმა ბარძაყის ტკივილი იგრძნო. ისიც თქვეს, ბრეშელმა ექიმებმა ვარსკვლავი გასინჯეს და დაადგინეს, სახიფათო არაფერიაო, მაგრამ მის ქომაგთა გულების ასაჩქარებლად ეს ინფორმაციაც საკმარისი გამოდგა.

შეგახსენებთ, რობერტო ბაჯოს „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში 1999 წლის 31 მარტის შემდეგ აღარ უთამაშია. ბოლო მატჩი ბელარუსთან ჰქონდა, ჯამში კი 55 შეხვედრაში 27 გოლი აქვს გატანილი.

ასე და ამგვარად, ბაჯოს ბოლო სანაკრებო მატჩი მოახლოებულია და... როგორც ამბობენ, თუ ვეტერანი თამაშს შეძლებს, მაშინ ამ შეხვედრას სიამოვნებით გამოტოვებს ფრანჩესკო ტოტი. „რომას“ კაპიტანმა, ზემოხსენებულ 31-ე ტურში „ემპოლის“ კარში ორი გოლი გაიტანა, ოღონდ მსუბუქად ფეხიც იტკინა. ერთი სიტყვით, ტოტისთვის ახლა ნაკრებში თამაშზე მნიშვნელოვანი დასვენებაა, მით უფრო, რომ ისევ და ისევ იმ ჯადოსნურ 31-ე ტურში ლიდერმა, „მილანმა“ ფრედ ითამაშა უდინეში ანუ „მილანსა“ და „რომას“ შორის სხვაობა შემცირდა და რომაელებს ჩემპიონობის იმედი დაუბრუნდათ.

და, რაც ყველაზე მთავარია: კვირას „მილანი“ — „რომაა“!

აღსანიშნავია, რომ კოჭი იტკინა კიდევ ერთმა რომაელმა ანტონიო კასანომ, რომელიც ასევე ვერ ითამაშებს ესპანელების წინააღმდეგ.

ნაკრებს ფეხბურთელებს ვერ აწვდიან მილანელებიც. „შავ-წითლები“ ამჯერად ნეკნებნატკენ ალესანდრო ნესტას ვერ უგზავნიან ტრაპატონის. ვერ იქნებიან ფილიპო ინძაგი და ჯუზეპე პანკარო, ასევე იუვენტუსელი ალესანდრო დელ პიეროც.

ყოველივე ამის ფონზე „სკუდრა აძურას“ თავკაცმა, ჯოვანი ტრაპატონიმ რამდენიმე საკმაოდ მოულოდნელი ფეხბურთელი მიიწვია. ასე შეიძლება ითქვას „ლაციოს“ გოლკიპერ ანჯელო პერუცის, „სამპდორიას“ გარემარბის, აიმო დიანას და „ინტერის“ მცველ მარკო მატერაცის გამოძახებაზე.

და ბოლოს, გენუის „ლუიჯი ფერარიზე“ ყველა ბილეთი კარგა ხნის გაყიდულია. მიზეზი: ცხადია, რობერტო ბაჯოს გაცილება.

**პაპუნა ძიდია**

### ამხანაგური მატჩი. 28 აპრილი

### იტალია — ესპანეთი

#### იტალია

*მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ანჯელო პერუცი (ლაციო);*

*მცველები: ფაბიო კანავარო, მარკო მატერაცი (ინტერი), ჯუზეპე ფავალი, მასიმო ოდო (ლაციო), ნიკოლა ლეგროტალიე, ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი), მატეო ფერარი (პარმა), კრისტიან პანუჩი (რომა);*

*ნახევარმცველები: მასიმო ამბროზინი, ანდრეა პირლო (მილანი), აიმო დიანა (სამპდორია), სტეფანო ფიორე (ლაციო), კარლო ნერვო (ბოლონია), სიმონე პეროტა (კიევო);*

*თავდამსხმელები: რობერტო ბაჯო (ბრეშა), ბერნარდო კორადი (ლაციო), მარკო დი ვაიო, ფაბრიციო მიკოლი (იუვენტუსი), კრისტიან ვიერი (ინტერი)*



# თავისუფლების აღკვეთა

*„იუვენტუსმა“ კვირას სირცხვილი სჭამა, შინ „ლეჩესთან“ 3:4 წააგო და ეს წაგება ფეხბურთელებს თავისუფლების აღკვეთად დაუჯდათ — ისინი სტადიონიდან შინ კი არ გაუშვეს, საწვრთნელ ცენტრში დააბრუნეს შემდეგი მატჩისთვის მოსამზადებლად*

„ამ საღამოდანვე ყველანი შეკრებაზე გადავდივართ — თქვა განრისხებულმა მარჩელო ლიპიმ — ასეთია კლუბის გადაწყვეტილება და ეს ყველას ეხება, გარდა იმ ფეხბურთელებისა, ვინც ნაკრებშია გამოძახებული“.

„იუვე“ რომ ბოლო თვეების განმავლობაში ცუდად თამაშობს და ჯახირობს, ყველასთვის ისედაც ნათელი იყო, მაგრამ ასე თვალსაჩინოდ, ერთ-ერთ აუტსაიდერთან, თან შინ, ჯერ არ წაეგო.

მიუხედავად ამისა, საკითხს მეორე მხარეც აქვს — ტურინელთა ისტორიაში ფეხბურთელების თამაშიდან პირდაპირ შეკრებაზე მიბრუნება აქამდე არასოდეს მომხდარა. ეს წესი იტალიის სხვა გუნდებში დიახაც მოქმედებდა, მაგრამ „იუვენტუსში“ არა.

„ერთი სიტყვით, დღეს ცუდი დღე გვქონდა — განაგრძო ლიპიმ — და ამაში ტაქტიკა ნამდვილად არ არის დამნაშავე. მეტოქეს ძალიან ბევრის საშუალება მივეცით“.

ტაქტიკა კი ლიპიმ იმიტომ ახსენა, რომ „ლეჩესთან“ შეხვედრაში მან ერთბაშად ოთხი თავდამსხმელი გაიყვანა მოედანზე, რაც ბევრის აზრით შეცდომა იყო: კონტრშეტევაში გაწაფულმა სტუმრებმა სწორედ ამით ისარგებლესო, ამტკიცებენ ისინი.

ასე და ამგვარად, ამ დამარცხების შემდეგ „ბებერ ქალბატონს“ „რომას“ გადასწრების და მეორე ადგილზე გასვლის შანსი, ფაქტობრივად, გაუქრა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამბიციურ გუნდს აგვისტოში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს თამაში.

„როგორც ჩანს, ამით მეორე ადგილისთვის ბრძოლაც დავასრულეთ. ეს, დღევანდელი პოზიციიდან უკვე ძალიან ძნელია“ — ბრძანა თავად ლიპიმ, რომელსაც ერთიღა ეიმედება, „კოპა იტალიას“ ფინალში პირველი თამაში „ლაციოსთან“ 0:2 აქვს წაგებული და იქნებ „დელე ალპიზე“ ეს შედეგი რამენაირად თავის სასარგებლოდ მოატრიალოს.

**პაპუნა ძიდია**

# სანტაკატარონელი ლიდერი

## ბრაზილია

**სერია A. II ტური**

გოიასი — კრუზეირო 2:2; ფლამენგო — პონტე პრეტა 0:0; ჟუვენტუდე — გრემიო 1:1; ატლ. მინეირო — ვასკუ და გამა 1:1; ატლ. პარანენსე — ფიგეირენსე 0:3; კორინთიანსი — პაისანდუ 2:1; ფლუმინენსე — კურიტიბა 1:1; გუარანი — სან კაეტანო 1:1; ინტერნასიონალი — პალმეირასი 1:0; ვიტორია — პარანა 6:1; კრისიუმა — სან პაულუ 1:1; სანტოსი — ბოტაფოგო 2:0

საერთობრაზილიური ჩემპიონატი წინა კვირას დაიწყო და უკვე მეორე ტური მოილია. ორი მოგებით წინაა „ფიგეირენსე", თუმცა ეს სრულიად არაფერს ნიშნავს იმის გარდა, რომ გუნდმა 2001 წლის ჩემპიონი, „ატლეტიკო პარანაენსე" დაამარცხა.

ორ თამაშში პირველად მოიგო „კორინთიანსმა", რომელმაც მსაჯის მიერ დამატებულ დროში 2:1 გამოგლიჯა „პაისანდუს". ეს გამარჯვების გოლი კოლუმბიელმა ფრედი რინკონმა თავით გაიტანა.

საერთოდ, ეს თამაში მღელვარე იყო. „კორინთიანსი" ასევე თავური დარტყმით დააწინაურა ანდერსონმა. „პაისანდუმ" კი როჟერიო ბელემის გოლით უპასუხა. თუმცა, ამ სასიხარულო გოლს მოჰყვა ბელემის ორი თანაგუნდელი მეგოლის, სელმორისა და ლეშევას ზედიზედ გაძევება უხეშობის გამო.

იანვრიდან მძიმე დღეში მყოფი „კორინთიანსი" წლეულს ლიგა-პაულისტადანაც გავარდა და საერთობრაზილიურის გამხსნელი თამაშის წააგო „პონტე პრეტასთან".

37 წლის ფრედი რინკონმა კი, რომელსაც ერთ დროს მადრიდის „რეალშიც" უთამაშია, თქვა: „ძალიან საჭირო გოლი იყო. მოგების გემო დაგვიბრუნა."



„ფლუმინენსეს" ოთხი გოლიდან ორი რომარიოსია

„ფიგეირენსეს" რომ მივუბრუნდეთ, გუნდმა სულ იოლად, ფერნანდეშის, მარსიო მარტინსის და სერჟიო მანუელის გოლებით გაანადგურა „ატლეტიკო პარანენსე". ჩემპიონატის ლიდერი სულ ორი წელიწადია, რაც ბრაზილიის პირველ დივიზიონში გამოჩნდა და მისამართით სანტა კატარონას შტატიდანაა.

„ინტერნასიონალმა" პორტუ ალეგრიში „პალმეირასს" სძლია. დამნაშავე კი ამ უკანასკნელის მეკარე მარკოსი იყო. სწორედ ის, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიელთა კარში რომ იდგა. მარკოსს ბურთი თამაშში შეჰქონდა, მოწინააღმდეგეს კი მოარტყა. „ინტერნასიონალმა" სწორედ ამ მორტყმის შედეგად კარში შევარდნილი გოლით მოიგო, თუმც მცველი ვინიციუსი კი გაუძევეს პირველი ტაიმის მიწურულს.

სამგზის ჩემპიონი „პალმეირასი" წლეულს დაბრუნდა პირველ ლიგაში. ამასობაში კი ზედიზედ მეორე თამაშა გოლი გააქვს რომარიოს, თუმცა, მისი „ფლუმინენსე" ორი ფრით ცხრილის შუაშია ჩაკარგული.

შარშანდელმა მეორეადგილოსანმა „სანტოსმა", რომელმაც „პარანასთან" წაგებით დაიწყო ჩემპიონატი, თავის „ველა ბელმირაზე" დიეგუს დუბლით მოუგო ქვედა ლიგიდან მობრუნებულ „ბოტაფოგოს". „ბოტამ" პირველ ტურშიც წააგო, მწვრთნელმა ლევირ კულპიმ კი განაცხადა, საშინელ დაწოლას განვიცდი და უნდა გადავდგეო.

**ლუკაშ დე მოუზაუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიგეირენსე | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| გოიასი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| კრუზეირო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| პონტე პრეტა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| კურიტიბა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კრისიუმა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სან კაეტანო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სან პაულუ | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ვიტორია | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| სანტოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| კორინთიანსი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ინტერნასიონალი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| პარანა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:8 | 3 |
| ფლუმინენსე | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| ატლ. მინეირო | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| გრემიო | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ფლამენგო | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| პაისანდუ | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| ჟუვენტუდე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| გუარანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ვასკუ და გამა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| პალმეირასი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ატლ. პარანენსე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| ბოტაფოგო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

# ტევესმა ლაპლატა დაამუნჯა

## არგენტინა

**კლაუსურა. XI ტური**

არსენალი — კოლონი 1:0; ბანფილდი — ოლიმპო 2:0; კილმესი — სან ლორენსო 1:1; ნუევა ჩიკაგო — ჩაკარიტა 1:1; ატლეტიკო — რასინგი 1:2; ტალიერესი — ლანუსი 1:0; ინდეპენდიენტე — როსარიო 3:2; ოლდ ბოიზი — ველესი 2:2; რივერ პლეიტი — ხიმნასია 1:1; ესტუდიანტესი — ბოკა ხუნიორსი 2:2

„ბოკა ხუნიორსმა" კვირას ფრედ, 2:2 ითამაშა „ესტუდიანტესთან" და ლიდერობაც შეინარჩუნა.

ტიტულის დამცველ ჩემპიონს 11 თამაშიდან 27 ქულა აქვს და მას მარადი მეტოქე „რივერი" და „ტალიერესი" მისდევენ.

„ესტუდიანტესი" პაბლო ლუგერსიოს გოლით დაწინაურდა ლაპლატაში, თუმცა ფრანკო კანგელემ ათიოდ წუთში გაათანაბრა. ლუგერსიომ ამას მალე მეორე მიაყოლა — „ბოკას" მეკარე რობერტო აბონდანსიერი გაშეშებული დატოვა. სწორედ ამის შემდეგ გამოჩნდა მინდორზე ბოკელთა ბასრი იარაღი, კარლოს ტევესი, რომელმაც ლაპლატელ მაყურებელს ენა ჩაუგდო თავისი სოლო გარღვევით და ლიდერს ქულა წაალებინა ძნელი სტუმრობიდან.

„რივერს" შეეძლო ქულებდაკარგულ „ბოკას" დასწეოდა, მაგრამ თავადაც ფრედ ითამაშა საშინაო მატჩი ასევე ლაპლატურ „ხიმნასიასთან", ამასობაში კი „ტალიერესმა" 1:0 მოუგო „ლანუსს".

**ირაკლი გამყრელიძე**




კარლოს ტევესი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 11 | 8 | 3 | 0 | 24:9 | 27 |
| რივერ პლეიტი | 11 | 7 | 2 | 2 | 30:14 | 23 |
| ტალიერესი | 11 | 7 | 2 | 2 | 21:12 | 23 |
| რასინგი | 11 | 7 | 1 | 3 | 21:17 | 22 |
| ველესი | 11 | 6 | 3 | 2 | 24:14 | 21 |
| კოლონი | 11 | 5 | 2 | 4 | 14:17 | 17 |
| ინდეპენდიენტე | 11 | 4 | 4 | 3 | 15:14 | 16 |
| ბანფილდი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:11 | 15 |
| ოლდ ბოიზი | 11 | 2 | 7 | 2 | 17:15 | 13 |
| ლანუსი | 11 | 4 | 1 | 6 | 14:17 | 13 |
| სან ლორენსო | 11 | 2 | 6 | 3 | 12:12 | 12 |
| კილმესი | 11 | 2 | 6 | 3 | 12:14 | 12 |
| ნუევა ჩიკაგო | 11 | 2 | 6 | 3 | 13:17 | 12 |
| არსენალი | 11 | 2 | 6 | 3 | 10:15 | 12 |
| ატლეტიკო | 11 | 3 | 2 | 6 | 14:17 | 11 |
| ხიმნასია | 11 | 2 | 5 | 4 | 17:17 | 11 |
| ესტუდიანტესი | 11 | 2 | 4 | 5 | 12:20 | 10 |
| როსარიო | 11 | 2 | 3 | 6 | 12:20 | 9 |
| ოლიმპო | 11 | 2 | 3 | 6 | 9:19 | 9 |
| ჩაკარიტა | 11 | 0 | 5 | 6 | 11:24 | 5 |

## პორტუგალია

**სუპერლიგა. XXXII ტური**

**ბელენენსეში 3:0 რიუ ავე**

1:0 ლეონარდუ (28), 2:0 უგო ენრიკე (31), 3:0 პაულუ ტურა (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 32 | 24 | 7 | 1 | 60:17 | 79 |
| ბენფიკა | 32 | 21 | 7 | 4 | 61:28 | 70 |
| სპორტინგი | 32 | 22 | 4 | 6 | 58:32 | 70 |
| ნასიონალი | 32 | 16 | 5 | 11 | 51:33 | 53 |
| ბრაგა | 31 | 13 | 9 | 9 | 32:36 | 48 |
| რიუ ავე | 32 | 11 | 12 | 9 | 41:33 | 45 |
| მარიტიმუ | 32 | 11 | 12 | 9 | 32:31 | 45 |
| ბოავიშტა | 32 | 11 | 11 | 10 | 30:28 | 44 |
| მორეირენსე | 32 | 11 | 10 | 11 | 30:31 | 43 |
| ლეირია | 32 | 10 | 11 | 11 | 41:45 | 41 |
| ბეირა მარი | 32 | 10 | 8 | 14 | 35:42 | 38 |
| ჟილ ვისენტე | 32 | 9 | 10 | 13 | 40:38 | 37 |
| აკადემიკა | 32 | 10 | 5 | 17 | 35:39 | 35 |
| ბელენენსეში | 32 | 8 | 10 | 14 | 34:51 | 34 |
| ალვერკა | 32 | 9 | 5 | 18 | 30:45 | 32 |
| გიმარაეში | 31 | 7 | 10 | 14 | 29:38 | 31 |
| ფერეირა | 32 | 8 | 3 | 21 | 25:49 | 27 |
| ამადორა | 32 | 4 | 5 | 23 | 21:69 | 17 |

## დანია

**სუპერლიგა. XXVII ტური**

ვიბორგი — ბრონდბიუ 3:2; აკადემისკი — ესბიერგი 2:5; ორჰუსი — ოდენსე 1:0; მიდტიულანდი — ნორდსიელანდი 3:0; ფრემი — ოლბორგი 0:1; კოპენჰაგენი — ჰერფიოლგე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესბიერგი | 27 | 16 | 8 | 3 | 60:30 | 56 |
| კოპენჰაგენი | 27 | 16 | 7 | 4 | 43:22 | 55 |
| ბრონდბიუ | 27 | 16 | 6 | 5 | 45:24 | 54 |
| ოდენსე | 27 | 14 | 6 | 7 | 55:38 | 48 |
| ოლბორგი | 27 | 12 | 7 | 8 | 40:36 | 43 |
| ვიბორგი | 27 | 10 | 8 | 9 | 42:34 | 38 |
| მიდტიულანდი | 27 | 10 | 6 | 11 | 50:41 | 36 |
| ორჰუსი | 27 | 9 | 3 | 15 | 37:54 | 30 |
| ჰერფიოლგე | 27 | 7 | 6 | 14 | 25:37 | 27 |
| ნორდსიელანდი | 27 | 6 | 8 | 13 | 28:50 | 26 |
| ფრემი | 27 | 6 | 3 | 18 | 29:50 | 21 |
| აკადემისკი | 27 | 5 | 2 | 20 | 22:60 | 17 |

**I დივიზიონი. XXI ტური**

ბრიონშოი — სონდერიულანდი 2:2; ფკ ორჰუსი — ჰორსენსი 0:1; ნორდიულანდი — სკიოლდი 1:1; რანდერსი — ფრედერისია 2:2; ბ-93 — იოლსტიკე 0:3; ფრემადი — ბ-1913 3:1; ნიკიობინგი — კიოგე 0:1; ვაილე — სილკებორგი 0:3

## ამხანაგური მატჩი

**უნგრეთი 3:2 იაპონია**

1:0 კუტორი (53), 2:0 იუპაში (67), 2:1 ტამადა (76), 2:2 კუბო (78), 3:2 ჰუსტი (90+3)

## სერბეთი

**პრვა ლიგა**

**XXVII ტური**

ცრვენა ზვეზდა — ოფკ 2:1; ბუდუჩნოსტი — ბორაცი 0:0; ზემუნი — ობილიჩი 3:2; ჟელეზნიკი — კომი 3:0; ნაპრედაკი — სარტიდი 0:1; ჰაიდუკი — ვოივოდინა 0:1; ზეტა — სუტიესკა 2:1; რადნიჩკი — პარტიზანი 0:3

## სლოვენია

**სი მობილ ლიგა**

**XXVI ტური**

ოლიმპია — მარიბორი 1:2; ნოვა გორიცა — პრიმორიე 0:0; მურა — კოპერი 2:2; პუბლიკუმი — ლიუბლიანა 1:2; შმარტნო — დომზალე 1:1; პტუი — დრავოგრადი 3:1

## იტალია

**სერია B. [illegible] ტური**

**ფიორენტინა 2:0 [illegible]**

1:0 მ. ფონ[illegible] (4), 2:0 [illegible] (48)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალერმო | 39 | 18 | 14 | 7 | 60:34 | 68 |
| ატალანტა | 39 | 16 | 18 | 5 | 49:30 | 66 |
| კალიარი | 39 | 17 | 14 | 8 | 62:40 | 65 |
| მესინა | 39 | 17 | 14 | 8 | 54:37 | 65 |
| ლივორნო | 39 | 16 | 16 | 7 | 60:40 | 64 |
| ფიორენტინა | 39 | 16 | 14 | 9 | 46:41 | 62 |
| პიაჩენცა | 39 | 15 | 16 | 8 | 37:29 | 61 |
| ტრიესტინა | 39 | 14 | 17 | 8 | 46:41 | 59 |
| ტერნანა | 39 | 14 | 14 | 11 | 50:42 | 56 |
| კატანია | 39 | 15 | 11 | 13 | 44:43 | 56 |
| ტორინო | 39 | 12 | 16 | 11 | 48:42 | 52 |
| ვიჩენცა | 39 | 12 | 16 | 11 | 41:39 | 52 |
| ნაპოლი | 39 | 10 | 22 | 7 | 30:31 | 52 |
| ტრევიზო | 39 | 10 | 17 | 12 | 37:39 | 47 |
| ასკოლი | 39 | 11 | 14 | 14 | 42:46 | 47 |
| სალერნიტანა | 39 | 12 | 11 | 16 | 31:41 | 47 |
| ჯენოა | 39 | 11 | 13 | 15 | 40:46 | 46 |
| ალბინოლეფე | 39 | 11 | 12 | 16 | 34:46 | 45 |
| ვენეცია | 39 | 10 | 14 | 15 | 33:44 | 44 |
| პესკარა | 39 | 10 | 11 | 18 | 32:52 | 41 |
| ბარი | 39 | 10 | 10 | 19 | 41:53 | 40 |
| ვერონა | 39 | 9 | 13 | 17 | 41:58 | 40 |
| კომო | 39 | 7 | 12 | 20 | 30:52 | 33 |
| აველინო | 39 | 4 | 13 | 22 | 37:59 | 25 |

## ნორვეგია

**ტიპელიგა. III ტური**

ჰამ კამი — სტაბეკი 0:0; მიოლდე — ფრედრიკსტადი 0:1; ოდ გრენლანდი — ლინი 0:0; სოგნდალი — ბოდიო გლიმტი 1:2; ტრომსიო — ლილესტრიომი 1:0; რუსენბორგი — ვიკინგი 0:0; ვოლერენგა — ბრანი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრომსიო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| ოდ გრენლანდი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| რუსენბორგი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| ვოლერენგა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| სტაბეკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ბრანი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:2 | 3 |
| ლილესტრიომი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ჰამ კამი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| მოლდე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ბოდიო გლიმტი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ფრედრიკსტადი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| ლინი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| სოგნდალი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ვიკინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | 1 |

**I დივიზიონი. III ტური**

ალესუნდი — სტრომგოდსეტი 3:0; ბრინი — ტრომსდალენი 6:1; ჰაუგესუნდი — სკეიდი 3:4; ჰიონეფოსი — მანდალი 0:2; კონგსვინგერი — ჰორს გრენლანდი 2:0; მოსი — ვარდ ჰაუგესუნდი 2:1; სანდეფიორდი — რაუფოსი 3:0; სტარტი — ჰიოდი 4:1

## აშშ

**MLS. IV ტური**

ვაშინგტონი — ჩიკაგო 0:1; დალასი — კანზასი 1:0; კოლორადო — სან ხოსე 1:0; ლოს ანჯელესი — კოლამბუსი 2:0; ნიუ იორკი — ნიუ ინგლენდი 1:1

## მექსიკა

**კლაუსურა. XVI ტური**

ვერაკრუსი — პუებლა 2:1; კრუს ასული — უნამი 2:0; მონტერეი — გვადლახარა 3:3; სან ლუისი — კერეტარო 3:0; ატლასი — ტიგრესი 2:2; ამერიკა — ტოლუკა 2:1; ტიკუსი — ნეკაქსა 3:0; ირაპუატო — ხაგუარესი 0:0; ატლანტე — პაჩუკა 3:2; სანტოს ლაგუნა — მორელია 6:0

## ამხანაგური მატჩები. 28 აპრილი

### ბელგია – თურქეთი

**ბელგია**

*მეკარეები:* გერტ დე ფლიგერი (ტილბურგი, ჰოლანდია), ტრისტან პეერსმანი (ანდერლეხტი);

*მცველები:* ფილიპ კლემანი, ტიმი სიმონსი (ბრიუგე), ფილიპ დაემსი (გენჩლერი, თურქეთი), ოლივიე დემახტი, ვენსან კომპანი, ანტონი ვანდენბორე (ანდერლეხტი), ერიკ დეფლანდრე (ლიონი, საფრანგეთი), ჟილ ვან დამი (აიაქსი, ჰოლანდია), დიდიე დეედენი (აუსტრია, ავსტრია);

*ნახევარმცველები:* ვალტერ ბასეჯიო (ანდერლეხტი), მბო მპენზა, რობერტო ბისკონტი (სტანდარდი), გრეგორი დუფერი (შარლერუა), სვენ ვერმანტი (შალკე, გერმანია), ჯონათან ბლონდელი (ბრიუგე), ბარტ გოორი (ჰერტა, გერმანია);

*თავდამსხმელები:* თომას ბუფელი (ფეიენოორდი, ჰოლანდია), უესლი სონკი (აიაქსი, ჰოლანდია), ლუიჯი პიერონი (მუსკრონი)

### ჰოლანდია – საბერძნეთი

**ჰოლანდია**

*მეკარეები:* ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), რონალდ ვატერეუსი (პსვ ეინდჰოვენი)

*მცველები:* ფრანკ დე ბური (რეინჯერსი, შოტლანდია), იაპ სტამი (ლაციო, იტალია), ჯონ ჰეიტინგა (აიაქსი), ბუდევინ ზენდენი (მიდლსბრო, ინგლისი), უილფრედ ბუმა (პსვ ეინდჰოვენი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, მიხაელ რაიციგერი (ორივე ბარსელონა, ესპანეთი);

*ნახევარმცველები:* მარკ ვან ბომელი (პსვ ეინდჰოვენი), რაფაელ ვან დერ ვაარტი, უესლი სნეიდერი (აიაქსი), ედგარ დავიდსი, ფილიპ კოკუ, მარკ ოვერმარსი (ბარსელონა, ესპანეთი), კლარენს ზეედორფი (მილანი, იტალია), ანდი ვან დერ მეიდე (ინტერი, იტალია);

*თავდამსხმელები:* რუუდ ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი), როი მაკაი (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვან ჰოიდონკი (ფენერბაჩე, თურქეთი)

# ამქრის კაცი ანრია



**კვირა საღამოს** „არსენალი" პრემიერლიგის ჩემპიონი გახდა, ტიერი ანრი კი ზედიზედ მეორედ გამოცხადდა პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის წლის საუკეთესო ფეხბურთელად.

26 წლის ფრანგი, სავარაუდოდ, ლიგის მთავარმეგოლეც შეიქნება. მხოლოდ პრემიერლიგაში 29 ბურთი აქვს გატანილი, ყველა შეჯიბრში კი 37. საერთოდ, პრემიერლიგაში ანრიმ ჯერ კიდევ თებერვალში გადალახა ასგოლიანი ნიშნული. 1999 წლიდან მოყოლებული კი, რაც „არსენალში" თამაშობს, 251 შეხვედრაში 150-ჯერ შეაგდო.

პროფესიონალ ფეხბურთელთა წლევანდელ გამოკითხვაში, ანრიმ ფრენკ ლამპარდს, სტივ ჯერარდს, ალან შირერს, ჯეი-ჯეი ოკოჩას და პატრიკ ვიეირას გაუსწრო.

წლის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ „ჩარლტონ"-„ჩელსელი" სკოტ პარკერი გამოცხადდა. საკვირველია, მაგრამ მან თანაგუნდელ კაპიტანს, ჯონ ტერის აჯობა.

ანრი მესამე კაცია, ვისაც ორჯერ მოუგია კოლეგათა გამოკითხვა. ადრე ესენი ყოფილან მარკ ჰიუზი და ალან შირერი. თუმცა, პირველია, ვისაც ზედიზედ რგებია პატივი.

**ირაკლი გამყრელიძე**

**პრემიერლიგის წლის საუკეთესო ფეხბურთელი ფეხბურთის ასოციაციის გამოკითხვით**

| | | |
|---|---|---|
| 1990 | დევიდ პლატი | ასტონ ვილა |
| 1991 | მარკ ჰიუზი | მანჩესტერ იუნაიტედი |
| 1992 | გარი პალისტერი | მანჩესტერ იუნაიტედი |
| 1993 | პოლ მაკგრათი | ასტონ ვილა |
| 1994 | ერიკ კანტონა | მანჩესტერ იუნაიტედი |
| 1995 | ალან შირერი | ბლექბერნ როვერსი |
| 1996 | ლეს ფერდინანდი | ნიუკასლ იუნაიტედი |
| 1997 | ალან შირერი | ნიუკასლ იუნაიტედი |
| 1998 | დენის ბერხკამპი | არსენალი |
| 1999 | დავიდ ჟინოლა | ტოტენჰემ ჰოთსპური |
| 2000 | როი კინი | მანჩესტერ იუნაიტედი |
| 2001 | ტედი შერინგემი | მანჩესტერ იუნაიტედი |
| 2002 | რუუდ ვან ნისტელროოი | მანჩესტერ იუნაიტედი |
| 2003 | ტიერი ანრი | არსენალი |
| 2004 | ტიერი ანრი | არსენალი |

# ბეკენბაუერს ბაიერნის არ სჯერა

## ელბერმა ჰიცფელდს თითი დაადო






ჯოვანი ელბერი

**„ბაიერნის"** მწვრთნელი და პრეზიდენტი „მიუნხენ 1860"-თან მატჩის შემდეგ სხვადასხვა ტალღაზე აღმოჩნდნენ.

ოტმარ ჰიცფელდი თავისი გუნდის გამარჯვებით და იმავდროულად „ვერდერის" ფრით ხარობდა, რადგან ბრემენელებთან სხვაობა ექვს ქულამდე შეამცირა. „ბუნდესლიგის დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა და ეს ნიშნავს, რომ ჩემპიონობის შანსი არ დაგვიკარგავს. ჩვენ ყველა მომდევნო მატჩის მოგებას ვაპირებთ და ბოლოს ვნახოთ, ცხრილის თავში ვინ იქნება. ინტრიგა კვლავ გაცოცხლდა, რაც სრულიად გერმანიისთვისაა საინტერესო" — თქვა „ბაიერნის" მწვრთნელმა.

ჰიცფელდის საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა ფრანც ბეკენბაუერმა, რომელმაც „ვერდერს" ჯერ კიდევ ორი თვის წინ უწინასწარმეტყველა პირველობა. „ლიდერს ექვსი ქულით კი ჩამოვრჩებით, მაგრამ ისე თუ ვითამაშეთ, როგორც მიუნხენურ დერბიში, ბუნდესსასალათეს ვერ ველირსებით. ასეთი თამაშით ჩემპიონობა არ გვიწერია. ცხოვრებაში ბევრი რამ მინახავს, მაგრამ „მიუნხენ 1860"-თან მეორე ტაიმში რასაც „ბაიერნი" აკეთებდა, მსგავსი არასოდეს მინახავს. მატჩის მეორე ნახევარი გაცილებით უარესი სანახავი იყო, ვიდრე „ობერჰაუზენისა" და „უნტერჰახინგის" შეხვედრა."

„ბაიერნის" თემა ჰიცფელდზე გამწყრალი ჯოვანი ელბერის ნათქვამით დავასრულოთ, რომელიც „ლიონთა" კონტრაქტის დასრულების შემდეგ ბუნდესლიგაში დაბრუნებას არ გამორიცხავს, რადგან გული გერმანიისკენ მიუწევს: „როდესაც გუნდში როი მაკაი მოვიდა, არ ავჯანყებულვარ, პირიქით, სათადარიგოთა სკამზე ჯდომასაც დავყაბულდი, მაგრამ „ბაიერნიდან" პირადად ოტმარ ჰიცფელდის ახირების გამო გამიშვეს. ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო, მაგრამ თუ რომელიმე გერმანული კლუბი მიმიწვევს, სიამოვნებით დავბრუნდები ბუნდესლიგაში".

**ვაჟა ხუციშვილი**

### ფეხბურთის რუკასთან



**უკრაინული** „არსენალის" თავკაცი ვიაჩესლავ გროზნი შესაძლოა, იტალიურ „ვენეციას" ჩაუდგეს სათავეში. „არ უარვყოფ. რამდენიმე უცხოური, მათ შორის, ერთი-ორი საკმაოდ სერიოზული კლუბი მართლაც მთავაზობს სამსახურს, მაგრამ ახლა ჩემთვის მთავარი „არსენალია". რაც შეეხება „ვენეციას", იტალიელებმა ნამდვილად გამოთქვეს ინტერესი და ჩემმა აგენტმა ერთგვარი „დაზვერვაც" ჩაატარა, თუმც ჯერ გადაწყვეტილი არაფერია" — აღნიშნა გროზნიმ.

**იტალიური** „მილანის" სამედიცინო კონსულტანტმა, პროფესორმა მარტენსმა თქვა, ფილიპო ინძაგის ტრავმა კარგად გამოვიკვლიე და მას სერიოზული არაფერი სჭირსო. მართლია, პიპოს ისევ აწუხებს ფეხი, მაგრამ იგი ოპერაციას არ საჭიროებს. იმედი მაქვს, ინძაგი რამდენიმე კვირაში მწყობრში იქნებაო. სამაგიეროდ, მარტენსმა ჟუზეპე პანკაროს ტრავმას შედარებით რთული უწოდა. „მას აუცილებლად ოპერაცია ესაჭიროება და პორტუგალიაში ნამდვილად ვერ გაემგზავრება. პანკარო მომავალი სეზონის დასაწყისისთვის დაუბრუნდება მინდორს" — დასძინა პროფესორმა.

**შოტლანდიაში** ჩემპიონატის წლის საუკეთესო ფეხბურთელები გამოავლინეს. მოთამაშეებს შორის ჩატარებულ გამოკითხვაში გლაზგოს „სელტიკის" ინგლისელმა ფორვარდმა კრის სატონმა გაიმარჯვა. მეორე და მესამე ადგილებზე კი მისი თანაგუნდელები — ჰენრიკ ლარსონი და სტილიან პეტროვი გავიდნენ, ხოლო „რეინჯერსის" გერმანელი კარის დარაჯი შტეფან კლოსი მეოთხე იყო.

**იტალიის** ჩემპიონატის გასული ტურის ცენტრალურ მატჩში ტრაგედია მოხდა. „ინტერისა" და „ლაციოს" შეხვედრა დასრულდა თუ არა, უგოლო ფრით უკმაყოფილო ერთ-ერთი ინტერელი გულშემატკივარი „სან სიროს" მესამე იარუსიდნ გადმოხტა. პოლიციის თქმით, 25 წლის პიროვნებამ იმ სკამზე, რომელზედაც მატჩის მსვლელობისას იჯდა, წერილი დატოვა, რომლის შინაარსსაც ჯერჯერობით არ ახმაურებენ. აქვე გეტყვით, რომ ანალოგიური შემთხვევა შარშან, ნოემბერშიც მოხდა — „ინტერისა" და „ანკონას" მატჩის დროს 54 წლის ქომაგი მეორე იარუსიდან გადმოხტა.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა რუუდ ვან ნისტელროოიმ თქვა „ოლდ ტრეფორდზე" ვრჩებიო. „ცოტა ხნის წინ კლუბთან ახალი კონტრაქტი გავაფორმე. მეტი რა უნდა ვქნა, იკითხა გაოცებულმა რუუდმა და ჟურნალისტებს ჭორიკნები უწოდა. პრესაში კი წერენ, ვან ნისტელროოით „ბარსელონა" და „რეალი" არიან დაინტერესებულნი და 18,5 მილიონ გირვანქასაც დაუყოვნებლივ იხდიანო.

**გერმანული** „ლევერკუზენის" თავდამსხმელმა ოლივერ ნოივილმა გადაწყვეტილება შეცვალა, გუნდის დატოვებას არ ვაპირებ და არც „გლაზგო რეინჯერსში" გადავდივარო. ნოივილმა დასძინა: „არავითარი პრობლემა არ მაქვს, კლუბთან საკმაოდ კარგი კონტრაქტი მაკავშირებს და ნორმალურ ხელფასსაც ვიღებ. „ბაიერში" უფრო დიდი ხნით დარჩენაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი".

**ესპანური** „ბარსელონას" მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა მაიკლ ოუენის შეძენა ისურვა. ესპანური პრესის ცნობით, ზაფხულის სატრანსფერო სეზონისთვის „ბარსას" დაახლოებით 50 მილიონი გირვანქა აქვს გადადებული და ზემოხსენებული თანხის ნახევარი სწორედ ინგლისელ ფორვარდზე დაიხარჯება. „ჩვენ სწრაფი, ტექნიკური და კარზე დაგეშილი ფორვარდი გვჭირდება, ოუენი კი სწორედ ასეთია" — თქვა რაიკარდმა.

**ინგლისის** ნაკრებისა და „ნიუკასლის" მცველმი ჯონათან ვუდგეიტი „ჩელსისთან" მატჩში მძიმედ დაშავდა. ექიმების თქმით, სეზონის ბოლომდე იგი ნამდვილად ვერ ითამაშებს და შესაძლოა, ევრო 2004-იც გამოტოვოს.

**სიახლე საქართველოში!**

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის
(ტრუსები, მაისურები)
დამზადება გნებავთ, თქვენი
სურვილისამებრ, გნებავთ
თქვენს მიერ კატალოგში
შერჩეული ესკიზით





ნომრები სპორტულ
მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა:
დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში

**სარო-არტპრინტი**

ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ინგლისი. კონფერენსი. ფლეი-ოფი

**29 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 117 | ალდერშოტი-ჰერეფორდი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 23.45 | 118 | ბარნეტი-შრიუსბერი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. XXXVI ტური

**29 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 286 | გრააფსხაპი-კამბური | 1,15 | 5,3 | 11,0 | 1 | 1,04 | 3,57 |
| 23.00 | 287 | ემენი-ვენლო | 2,05 | 3,3 | 3,1 | 1,26 | 1,23 | 1,59 |
| 23.00 | 288 | დორდრეხტი-აპელდორნი | 2,45 | 3,3 | 2,4 | 1,4 | 1,21 | 1,38 |
| 23.00 | 290 | იგლსი-ტელსტარი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| 23.00 | 291 | მაასტრიხტი-ვეენდამი | 2,1 | 3,3 | 3,0 | 1,28 | 1,23 | 1,57 |
| 23.00 | 292 | ჰაარლემი-ეინდჰოვენი | 1,8 | 3,4 | 3,5 | 1,17 | 1,18 | 1,72 |
| 23.00 | 293 | სპარტა-ექსელსიორი | 2,2 | 3,3 | 2,7 | 1,32 | 1,21 | 1,48 |

### შვეიცარია. ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩები

**28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 337 | ბულე-შაფჰაუზენი | 3,2 | 3,3 | 1,95 | 1,62 | 1,21 | 1,22 |
| 22.30 | 338 | კიასო-კონკორდია | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 23.30 | 339 | ანიო-ლუცერნი | 1,5 | 3,6 | 5,0 | 1,05 | 1,15 | 2,09 |

### დანია. I დივიზიონი. XVI ტური

**28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 358 | ბ 93-ნიკიობინგი | 2,35 | 3,5 | 2,4 | 1,4 | 1,18 | 1,42 |

### ბრაზილია. სერია A. III ტური

**28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 510 | ბოტაფოგო-ატლეტიკო მნ | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 04.30 | 511 | კურიტიბა-ინტერნასიონალი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 04.30 | 512 | კრუზეირო-კრიკიუმა | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 04.30 | 513 | პაისანდუ-ატლეტიკო პრ | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 04.30 | 514 | პონტე პრეტა-გოიასი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 05.45 | 515 | სან პაულუ-ფლუმინენსე | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 05.45 | 516 | ფიგეირენსე-სანტოსი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 05.45 | 517 | გრემიო-კორინთიანსი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |

**29 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 518 | პალმეირასი-ვიტორია | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 04.30 | 519 | პარანა-ფლამენგო | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 04.30 | 520 | ვასკუ და გამა-გუარანი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |

### არგენტინა. კლაუსურა. XII ტური

**27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.10 | 539 | სან ლორენსო-არსენალი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 05.00 | 540 | კოლონი-ოლიმპო | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 05.10 | 541 | რასინგი-ნუევა ჩიკაგო | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |

**28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.10 | 542 | როსარიო-რივერ პლეიტი | 3,8 | 3,2 | 1,8 | 1,73 | 1,22 | 1,15 |
| 04.00 | 543 | ხიმნასია-კილმესი | 2,15 | 3,0 | 3,2 | 1,25 | 1,28 | 1,54 |
| 04.00 | 544 | ლანუსი-ატლეტიკო | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 04.00 | 545 | ჩაკარიტა-ესტუდიანტესი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 04.00 | 546 | ტალიერესი-ბანფილდი | 1,65 | 3,3 | 4,8 | 1,1 | 1,22 | 1,95 |
| 04.40 | 547 | ბოკა ხუნიორსი-ნიუელზი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |

### ჩილე. აპერტურა. XIII ტური

**28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 574 | პუერტო მონტი-კოლო კოლო | 3,8 | 3,2 | 1,8 | 1,73 | 1,22 | 1,15 |

### საფრანგეთი. თასი. 1/2 ფინალი

**28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 615 | ნანტი-პსჟ | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 24.00 | 616 | შატორუ-დიჟონი | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |

### ლიბერტადორესის თასი

**28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 618 | სან კაეტანო-ინდეპენდიენტე | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |

**29 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 619 | ბარსელონა-მარაკაიბო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |

### ამხანაგური მატჩები

**28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 001 | კორეა-პარაგვაი | 2,35 | 3,0 | 2,8 | 1,31 | 1,27 | 1,44 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 002 | ისრაელი-მოლდოვა | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 17.30 | 003 | ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 19.30 | 005 | ჩეხეთი-იაპონია | 1,45 | 3,6 | 7,0 | 1,03 | 1,2 | 2,37 |
| 20.00 | 006 | ბულგარეთი-კამერუნი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 20.30 | 007 | ბელარუსი-ლიტვა | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 21.00 | 008 | პოლონეთი-ირლანდია | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 21.00 | 009 | ესტონეთი-ალბანეთი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 21.15 | 010 | უკრაინა-სლოვაკეთი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 22.00 | 011 | რუმინეთი-გერმანია | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| 22.00 | 012 | ლატვია-ისლანდია | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| 23.00 | 014 | ბოსნია-ფინეთი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 23.00 | 015 | დანია-შოტლანდია | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 23.00 | 016 | ნორვეგია-რუსეთი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 23.15 | 017 | შვეიცარია-სლოვენია | 1,75 | 3,2 | 4,4 | 1,13 | 1,25 | 1,85 |
| 23.15 | 018 | მაკედონია-ხორვატია | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 |
| 23.15 | 019 | ბელგია-თურქეთი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 23.30 | 020 | ავსტრია-ლუქსემბურგი | 1,03 | 8,0 | 25,0 | 1 | 1 | 6,06 |
| 23.30 | 021 | ჰოლანდია-საბერძნეთი | 1,45 | 3,6 | 7,0 | 1,03 | 1,2 | 2,37 |
| 23.30 | 022 | სან მარინო-ლიხტენშტაინი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 23.30 | 023 | უნგრეთი-ბრაზილია | 5,6 | 3,5 | 1,55 | 2,15 | 1,21 | 1,07 |
| 23.45 | 024 | ჩრდ.ირლანდია-სერბია | 3,8 | 3,2 | 1,85 | 1,73 | 1,24 | 1,17 |
| 24.00 | 025 | იტალია-ესპანეთი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 01.15 | 026 | მაროკო-არგენტინა | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.30 | 027 | პორტუგალია-შვედეთი | 1,65 | 3,3 | 5,0 | 1,1 | 1,24 | 1,98 |
| 04.05 | 028 | ჩილე-პერუ | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 04.30 | 029 | აშშ-მექსიკა | 2,1 | 3,0 | 3,3 | 1,23 | 1,28 | 1,57 |
| 04.30 | 030 | იამაიკა-ვენესუელა | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 1001 | მონრეალი-ტამპა ბეი | 2,2 | 3,6 | 2,45 | 1,36 | 1,15 | 1,45 |
| 06.00 | 1002 | კალგარი-დეტროიტი | 2,8 | 3,6 | 2,0 | 1,57 | 1,16 | 1,28 |
| | | **ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (ჩეხეთი)** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 15.15 | 1051 | კანადა-საფრანგეთი | 1,01 | 10,0 | 20,0 | 1 | 1 | 6,66 |
| 19.15 | 1052 | შვეიცარია-ავსტრია | 1,8 | 4,4 | 2,8 | 1,27 | 1,09 | 1,71 |
| 19.15 | 1053 | იაპონია-დანია | 6,5 | 5,6 | 1,25 | 3 | 1,04 | 1,02 |
| 23.15 | 1054 | შვედეთი-რუსეთი | 2,15 | 4,2 | 2,35 | 1,42 | 1,12 | 1,5 |
| | | **კალათბურთი.** | | | | | | |
| | | **ევროლიგა** | | | | | | |
| | | **29 აპრილი** | | | | | | |
| 21.10 | 1241 | სიენა-ციპერი | 1,7 | 10,0 | 1,9 | 1,45 | 1 | 1,59 |
| 23.40 | 1242 | მაკაბი-ცსკა | 1,55 | 10,0 | 2,1 | 1,34 | 1 | 1,73 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **27 აპრილი** | | | | | | |
| 05.00 | 1251 | ნიუ ორლეანი-მაიამი | 1,5 | 10,0 | 2,2 | 1,3 | 1 | 1,8 |
| 07.30 | 1252 | დენვერი-მინესოტა | 2,1 | 10,0 | 1,55 | 1,73 | 1 | 1,34 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5008 | პოლონეთი-ირლანდია | 2.8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5011 | რუმინეთი-გერმანია | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |
| 5015 | დანია-შოტლანდია | 1,75 | 2,45 | 6,0 | 1,02 | 1,35 | 1,73 |
| 5016 | ნორვეგია-რუსეთი | 2.8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5017 | შვეიცარია-სლოვენია | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5019 | ბელგია-თურქეთი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5021 | ჰოლანდია-საბერძნეთი | 1,8 | 2,4 | 5,6 | 1,02 | 1,36 | 1,68 |
| 5023 | უნგრეთი-ბრაზილია | 5,6 | 2,35 | 1,85 | 1,65 | 1,39 | 1,03 |
| 5025 | იტალია-ესპანეთი | 2.6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 5027 | პორტუგალია-შვედეთი | 2,1 | 2,1 | 5,6 | 1,04 | 1,52 | 1,52 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5408 | პოლონეთი-ირლანდია | 1,8 | 2,0 |
| 5411 | რუმინეთი-გერმანია | 1,9 | 1,9 |
| 5415 | დანია-შოტლანდია | 1,3 | 3,4 |
| 5416 | ნორვეგია-რუსეთი | 1,8 | 2,0 |
| 5417 | შვეიცარია-სლოვენია | 1,6 | 2,4 |
| 5419 | ბელგია-თურქეთი | 1,8 | 2,0 |
| 5421 | ჰოლანდია-საბერძნეთი | 1,3 | 3,4 |
| 5423 | უნგრეთი-ბრაზილია | 3,0 | 1,4 |
| 5425 | იტალია-ესპანეთი | 1,75 | 2,1 |
| 5427 | პორტუგალია-შვედეთი | 1,5 | 2,6 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5308 | პოლონეთი-ირლანდია | 1,65 | 1,95 |
| 5311 | რუმინეთი-გერმანია | 1,7 | 1,9 |
| 5315 | დანია-შოტლანდია | 1,75 | 1,85 |
| 5316 | ნორვეგია-რუსეთი | 1,65 | 1,95 |
| 5317 | შვეიცარია-სლოვენია | 1,75 | 1,85 |
| 5319 | ბელგია-თურქეთი | 1,65 | 1,95 |
| 5321 | ჰოლანდია-საბერძნეთი | 1,7 | 1,9 |
| 5323 | უნგრეთი-ბრაზილია | 1,7 | 1,9 |
| 5325 | იტალია-ესპანეთი | 1,65 | 1,95 |
| 5327 | პორტუგალია-შვედეთი | 1,7 | 1,9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5208 | პოლონეთი-ირლანდია | 1,75 | 1,85 |
| 5211 | რუმინეთი-გერმანია | 1,65 | 1,95 |
| 5215 | დანია-შოტლანდია | 1.8 | 1,8 |
| 5216 | ნორვეგია-რუსეთი | 1,7 | 1,9 |
| 5217 | შვეიცარია-სლოვენია | 1,8 | 1,8 |
| 5219 | ბელგია-თურქეთი | 1,7 | 1,9 |
| 5221 | ჰოლანდია-საბერძნეთი | 1,85 | 1,75 |
| 5223 | უნგრეთი-ბრაზილია | 1,85 | 1,75 |
| 5225 | იტალია-ესპანეთი | 1,65 | 1,95 |
| 5227 | პორტუგალია-შვედეთი | 1,7 | 1,9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5508 | პოლონეთი-ირლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | რუმინეთი-გერმანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | დანია-შოტლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ნორვეგია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | შვეიცარია-სლოვენია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ბელგია-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ჰოლანდია-საბერძნეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | უნგრეთი-ბრაზილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | იტალია-ესპანეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | პორტუგალია-შვედეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5108 | პოლონეთი-ირლანდია | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5111 | რუმინეთი-გერმანია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,2 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5115 | დანია-შოტლანდია | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5116 | ნორვეგია-რუსეთი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5117 | შვეიცარია-სლოვენია | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5119 | ბელგია-თურქეთი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5121 | ჰოლანდია-საბერძნეთი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,4 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5123 | უნგრეთი-ბრაზილია | 8,5 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,1 |
| 5125 | იტალია-ესპანეთი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,0 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5127 | პორტუგალია-შვედეთი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |

საქართველოს ჩემპიონატი
პლეი ოფი პირველი წრე. ორ მოგებამდე



გიორგი მარყოიშვილმა და მისმა „სტუ-ჯეოსელმა" „რუსთავის" ალყა იოლად გაარღვიეს

# ბასკო რომ ისვენებდა, სხვები სეირნობდნენ

## სტუ 2:0 რუსთავი

26 აპრილი. ვერის ბაღი
**სტუ 84:65 რუსთავი**
24:15 17:13 24:15 19:22
**სტუ:** ნიკოლაძე (12), ხეცურიანი (5), მარკოიშვილი (14), შანიძე (17), ოგასენიანი (2); ბაბიაშვილი (12), ქისტაური (6), დავითულიანი (6), გაგნიძე (4), ჯაფარიძე (4), მიქაძე (2), ლაფანაშვილი
**რუსთავი:** არწივიძე (9), ჩაჩუა (6), ბერუაშვილი (6), ტყეშელაშვილი, დანელიანი (26); ცეკვავა (7), კილაძე (2), გოგილაშვილი (2), ჭოჭუა (7), ლიპარტელიანი
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** როლანდ გელოვანი

არცთუ შორეულ წარსულში „აზოტს" რუსთავიდან ზღვა ხალხი მოჰყვებოდა საქომაგოდ, ახლა კი გულშემატკივრებს ვინ ჩივის, თავად კალათბურთელებს უჭირთ დედაქალაქში ჩამოსვლა. ქვემოქართლელთა თავკაცმა ოთარ ხმელიძემ „სტუ-ჯეოსელთან" წაგებული მეოთხედფინალური სერიის შემდეგ დაიჩივლა, არ მწყენია, ნახევარფინალში რომ ვერ გავედით, ტრავმირებულ მოთამაშეებს რომ თავი დავანებოთ, სამგზავრო თანხას თავად კალათბურთელები იხდიანო.

„რუსთავს" დღეს ძალიან უჭირს. ქვემოქართლელებს ასეთი უამბიციო გუნდი დიდი ხანია, არ ჰყოლიათ. გუშინ „სტუ-ჯეოსელმა" მათ იმაზე უარესი დღე აყარა, რაც სერიის პირველ, რუსთავულ მატჩში.

მაშ ასე, სტუ მეოთხედფინალშია, სადაც ქუთაისელთა უსახსრობის გამო შემდეგ წრეში ავტომატურად გასულ და კარგად დასვენებულ „ბასკოს" შეხვდება. ბათუმელებს იმედი ჰქონდათ, რომ საპლეიოფო მატჩებს საკუთარ ქალაქში უმასპინძლებდნენ, მაგრამ მათი მწვრთნელი გუშინ უხასიათოდ იჯდა ტრიბუნაზე, აჭარაში ისევ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს და საკალათბურთოდ იქ ვის სცხელაო.

## თსუ 2:0 მაკაბი

26 აპრილი. ვერის ბაღი
**თსუ 88:83 მაკაბი**
22:28 25:14 17:15 24:26
**თსუ:** თორთლაძე (10), მაისურაძე (25), ნაცვლიშვილი (16), ორმოცაძე (4), შენგელია (15); აბრამიძე (6), მარხვაშვილი (5), საყვარელიძე (4), ფანჩულიძე (3), ვეფხვაძე
**მაკაბი:** ნინოშვილი (12), ბადრიძე (22), წოწელია (15), ვაშაკიძე (15), სუხიშვილი (17); კონჯარია (2), ტატუნაშვილი
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** როლანდ გელოვანი

„მაკაბის" თავკაცი ჯამლეტ ხუხაშვილი თსუ-ს მეოთხედფინალური სერიის მეორე მატჩში ბრძოლას დაჰპირდა და აუსრულა. „მაკაბი" ბოლომდე და მთელი ჯიგრით ეთამაშა სტუდენტებს, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოუხდა ჩემპიონატთან გამოთხოვება.

რომ ვთქვათ, თსუ ნემსებზე იჯდა, არაფერს იშურებდა, არიქა, არ წავაგოო, ტყუილი იქნება. სტუდენტები სადღაც გულის კუნჭულში ეგებ უფრთხოდნენ კიდეც „მაკაბის", მაგრამ მათ თამაშს არავითარი შფოთი და ნერვიული მუხტი არ ხლდა.

თსუ-მ ძირითადად სამქულიანების წყალობით იმარჯვა. სტუდენტთა „ხასიათის" გამთამაშებელმა ირაკლი მაისურაძემ შორიდან სამიზნე გაისწორა და ბოლო მეოთხედში მეტად საჭირო სამქულიანები მიაშველა თავის გუნდს. „მაკაბი" საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე გატყდა — მიშა ფანჩულიძის სამქულიანმა თსუ მიუწვდომელი გახადა.

## დინამო 1:0 სსუ

26 აპრილი. ვერის ბაღი
**დინამო 98:72 სსუ**
30:12 20:23 22:19 26:18
**დინამო:** ელენტი (2), ხოშტარია (13), ბეჟანიშვილი (6), კეიდია (9), მუშკუდიანი (2); ლოსაბერიძე (24), აბულაძე (15), გამყრელიძე (12), ჩუბინიძე (8), მინაშვილი (6), კილაძე (1)
**სსუ:** პატარაია (2), ფარღალავა (21), კანკია (10), ლუკავა (12), ქვილითაია (20); დოლიძე (5), მიქაბერიძე (2), კორძაძე
**მსაჯები:** ხათუნა გაბედავა, მალხაზ ანდღულაძე
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

აბა, „დინამოსა" და სსუ-ს შედარება იქნება? ამ გუნდებს შორის უზარმაზარი სხვაობაა კლასში და მათ თამაშს გინდა საპლეიოფო დაარქვი და გინდაც უბრალო კალენდარული მატჩი, გამარჯვებული ერთი იქნება.

დრაგენ ბრაიკოვიჩის გუნდი ყველა ვარიანტში გაივლის სსუ-ს ბარიერს და ამიტომ როგორც გინდა ითამაშოს, ვერ გააკრიტიკებ და შექებაზეც ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მოკლედ, ბრაიკოვიჩი არხეინადაა და თავის გემოზე ამუშავებს სტრატეგიულ თუ ტაქტიკურ სქემებს.

# 2004 NBA Playoffs

# რა ხმა ჩაგივარდათ?!

## ბრაიანტმა ჰიუსტონელები მოიკითხა



REUTERS

25 აპრილი

### აღმოსავლეთი

#### ინდიანა 4:0 ბოსტონი

**ბოსტონი 75:90 ინდიანა**
**ბოსტონი:** ეტკინსი (2), ველში (6), პირსი (27 ქულა, 11 მოხსნა), მაკარტი, ბლუნტი (21 ქულა, 13 მოხსნა); ბანქსი (9), დევისი (5), მიმი (5), ჰანტერი
**ინდიანა:** ტინსლი (6), მილერი (14), არტესტი (22), ონილი (18), ფოსტერი (2); ჰარინგტონი (13), ბენდერი (7), ჯონსონი (6), ჯონსი (2)

შინ დაბრუნებაც ასეთი უნდა. ოდესღაც პირიქით ხდებოდა, ახლა კი ლარი ბერდმა „ბოსტონ სელტიქსს" განადგურება მოუტანა. ბერდის „ინდიანამ" ოთხ თამაშში მოუთავა ხელი წელს უპრეტენზიოდ დარჩენილ „ბოსტონს", ვინაც იმითაც კმაყოფილია, რომ რეგულარულის ბოლო მატჩებში ცოტა თავი გამოიჩინა და პლეი ოფში შემოასწრო.

„ბოსტონი" თავის სქელტანიან ისტორიაში 0:4 წაგებულ სერიას სულ ერთი-ორს თუ მოიძევს, მაგრამ ისეთი დროება მოდის, მომავალში ვინძლო პლეი ოფში წასაგებად მონაწილეობაც სამადლობოდ გაუხდეს. „ინდიანა" კი სწორედ ახლა უსინჯავს გამარჯვებებს გემოს და ეს მხოლოდ დასაწყისია. „პეისერზს" 2000 წლის შემდეგ საპლეიოფო სერია არ მოუგია. მაშინ ინდიანელებმა აღმოსავლეთის ფინალში „ნიუ იორკი" დაამარცხეს და პირველად გავიდნენ დიდ ფინალში. ხალხს ჯერაც არ დავიწყებია — მაშინ „პეისერზს" ლარი ბერდი წვრთნიდა. ახლა ლარი-ლეგენდა კლუბში უფრო დიდი კაცია, ერთი წელია, პრეზიდენტია და ჯერ ყველაფერი ისე მიდის, მას და გულშემატკივრებს რომ სურთ.

#### ნიუ ჯერსი 4:0 ნიუ იორკი

**ნიუ იორკი 94:100 ნიუ ჯერსი**
**ნიუ იორკი:** მარბერი (31), ანდერსონი (4), ჰარდევეი (17), კ. ტომასი (14 ქულა, 15 მოხსნა), მუჰამედი (3); ბეიკერი (12), ფ. უილიამსი (11), სვიტნი (2), ჯონსონი
**ნიუ ჯერსი:** კიდი (20), კიტლზი (10), ჯეფერსონი (13), მარტინი (36 ქულა, 13 მოხსნა), კოლინზი (4); როჯერსი (7), ჰარისი (4), ა. უილიამსი (4), არმსტრონგი (2), სკალაბრინი

თამაშების მინიმუმი დასჭირდა უკვე მრავალ დოლში გამოჭენებულ „ნიუ ჯერსისაც". „ბოსტონისა" არ იყოს, „ნიუ იორკიც" მხოლოდ მონაწილე იყო და მისი გავლა ვიცე-ჩემპიონმა დროის უმოკლეს მონაკვეთში მოახერხა.

ყველაზე მეტად თავი გამოიდო „ნეთსის" ბაქიბუქა, მაგრამ თან გოროზმა თავდამსხმელმა კენიონ მარტინმა, ვინაც თავისი 36 ქულით აქეთ-იქით მიმოფანტა მეტოქეთა მეფარეები. „ჩვენ მისი პასებით მომარაგებაში შეგვექმნა პრობლემები — ამბობდა ნამატჩევს მარტინის თანაგუნდელი რიჩარდ ჯეფერსონი — სულ ბურთს ითხოვდა და ისე სწრაფად აგდებდა, მიცემას ვერ ვასწრებდით."

ნიუჯერსელები ინდიანელთა დარად ახლა ერთი ორი დღე იუქმებენ და „დეტროიტ"—„მილუოკის" შორის გამარჯვებულს დაუცდიან. ამათში სადღეისოდ „დეტროიტი" 2:1 იგებს.

### დასავლეთი

#### სან ანტონიო 4:0 მემფისი

**მემფისი 97:110 სან ანტონიო**
**მემფისი:** უილიამსი (13), მილერი (8), პოუზი (20 ქულა, 11 მოხსნა), გასოლი (22), რაიტი (4); უოტსონი (13), სვიფტი (6), ბეტიე (6), ველსი (4), აუთლოო (1), ჰემფრი
**სან ანტონიო:** პარკერი (29 ქულა, 13 პასი), თურქოღლუ (6), ბოუენი (10), დანკანი (26), ნესტეროვიჩი (8); ჰორი (14), ჯინობილი (10), ჰარტი (6), ბრაუნი (1), როუზი, ვორდი, ვილისი

რაღა ბევრი ვიკამათოთ და პირველი რაუნდი ცოტა მოსაწყენად მიედინება, ბევრისთვის კი უკვე დამთავრდა კიდეც. აღმოსავლეთისგან განსხვავებით დასავლეთ კონფერენციაში სუსტები არ არიან, მაგრამ იქაცაა ყამირი სერიები.

ჩემპიონი „სან ანტონიო" დებიუტანტი „მემფისისგან" ოთხ თამაშში ერთადერთხელ გადააწყდა წინააღმდეგობას, დანარჩენ სამ მატჩში კი საკუთარ ძალმოსილებაში ეჭვშეუტანლად დაარწმუნა ელვის პრესლის ქალაქელები. მეოთხე თამაშში „სფურზი" უკვე პირველი მეოთხედის შემდეგ იგებდა 11 ქულით და მეტოქეს საფუძველშივე უხშობდა ამბოხების მცდელობას.

ამ დღეს ტიმ დანკანი 28 წლისა მოიყარა და დაბადების დღე 26 ქულით აღნიშნა. „სან ანტონიოს" მეორე ლიდერმა ტონი პარკერმა 29 ქულით და 13 პასით ორი პირადსაპლეიოფო რეკორდი განაახლა.

#### ლეიკერსი 3:1 ჰიუსტონი

**ჰიუსტონი 88:92 ლეიკერსი**
ძირითადი დრო 81:81
**ჰიუსტონი:** ფრენსისი (17), მობლი (16), ჯ. ჯეკსონი (16 ქულა, 20 მოხსნა), კატო (12), მინგი (16); ტეილორი (6), ნახბარი (5), მ. ჯეკსონი, პიატკოვსკი, პადჯეტი
**ლეიკერსი:** პეიტონი (13), ბრაიანტი (18), ჯორჯი (8), მელოუნი (30 ქულა, 13 მოხსნა), ონილი (17 ქულა, 12 მოხსნა); მედვედენკო (3), რაში (2), ფოქსი (1), ფიშერი, უოლტონი

„ლეიკერსს" სხვა ფავორიტებზე მეტი ჯაფა დაადგა. ნაღდ ბრძოლებს მოწყურებული ჰიუსტონელები დიდვარსკვლავებს გზას არ უთმობენ და კბილებით და ბრჭყალებით ეომებიან. ბებერ კარლ მელოუნს მაისურაც შემოახიეს ზურგზე (ეტყობა, მეტი არ ჰქონდა და მთელი თამაში ასე დარბოდა).

მაგრამ მასპინძლებმა მელოუნი მაინც ვერ გააჩერეს. „ლეიკერსს" პირველ გამარჯვებაში შაკილ ონილმა ულიდერა, მეორეში კობი ბრაიანტი ყოჩობდა, ახლა კი კარლ მელოუნის ჯერი დადგა და მანაც 30 ქულა უმარჯვა ჰიუსტონელთა კალათს.

გადამწყვეტი სიტყვა კი მაინც კობი ბრაიანტმა თქვა. კობიმ თითქმის მთელი თამაში ჩააფლავა და 81:81 ანგარიშზე, მეოთხე მეოთხედის ბოლო წამზე სროლაც მაყურებლებში გაუშვა, მაგრამ ოვერტაიმში იყოჩაღა. აქაც თავიდან „ჰიუსტონი" დაწინაურდა, მაგრამ მერე კობიმ ხელი გამოიღო და მასპინძლებს პირადად წაჰგლიჯა გამარჯვება. თავხედურად ყურზეც მიიდო ხელი — აბა, ჰიუსტონელებო, ამდენს რომ გაჰყვიროდით, ახლა სადა ხართო.

სხვათა შორის ეს პირველი ოვერტაიმიანი მატჩი იყო წლევანდელ ოვერტაიმში.

**ძოტე ყორშია**

### გუშინწინ ნბა-მ რეგულარული ჩემპიონატის სიმბოლური ხუთეულები დაასახელა

| პირველი ხუთეული | მეორე ხუთეული | მესამე ხუთეული |
|---|---|---|
| ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) | სემ კასელი (მინესოტა) | ბაირონ დევისი (ნიუ ორლეანი) |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო) | მაიკლ რედი (მილუოკი) |
| კევინ გარნეტი (მინესოტა) | პეჯა სტოიაკოვიჩი (საკრამენტო) | რონ არტესტი (ინდიანა) |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | ჯერმენ ონილი (ინდიანა) | დირკ ნოვიცკი (დალასი) |
| შაკილ ონილი (ლეიკერსი) | ბენ ვოლესი (დეტროიტი) | იაო მინგი (ჰიუსტონი) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილია ზედგინიძე: ჩვენ ყველას მეტის გაკეთება შეგვეძლო

*გასული წლის ოქტომბრის შემდეგ ქართულ რაგბიში იმდენი რამ მოხდა, იმდენი შეიცვალა და იმდენი დამოუკიდებელი თუ სხვაზე დამოკიდებული აზრი გაჩნდა, რომ ჭეშმარიტების პოვნა გაჭირდა. პირველ რიგში მსოფლიოს თასის შემდეგ შეიცვალა რაგბის ხელმძღვანელთა მიმართ დამოკიდებულება, შემდეგ კი თავად ქართული რაგბის მთავრობა. ქიციც ითქვა და ქიცმაცურიც, საქართველოს მორაგბეთა ნაკრების კაპიტანმა ილია ზედგინიძემ კი, ასე ვთქვათ, მშვიდად გამოიარა სარაგბო რევოლუცია და ახლაც თავს იკავებს ვინმეს გაკრიტიკებისაგან*

— ნაკრები კაპიტანი როგორ შეაფასებს ბოლო დროს ქართულ რაგბიში მომხდარ მოვლენებს?

— ორივე მხარესთან გვქონდა კონსულტაციები და ისინიც გვეუბნებოდნენ, მოთამაშეების ფუნქციებში არ შედის ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებში ჩარევაო. ჩვენც, მოთამაშეთა დიდმა ნაწილმა ჩავთვალეთ, რომ აჯობებდა, მთელი ყურადღება რაგბის თამაშზე გადაგვეტანა.

— და მაინც, ნუთუ არ გქონია რომელიმე ჯგუფისადმი სიმპათია?

— ბიძინა გეგიძეს 10 წელია, ვიცნობ და მასთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. რაც შეეხება მერაბ ანთაძეს, როგორც პიროვნებას არ ვიცნობ, ვიზუალურადაც პირველად ვნახე რაგბის ყრილობაზე. იანვარში ორივე კანდიდატის პროგრამა ძალიან საინტერესო და სასარგებლო იყო ქართული რაგბისათვის. თუმცა ვთვლი, რომ გეგიძემ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია თავისი პრეზიდენტობის პერიოდში.

— ბევრი ამბობს, რომ მას მეტის გაკეთება შეეძლო. ეთანხმები ამ აზრს?

— მეტის გაკეთება ალბათ შეეძლო. ყველა ჩვენგანს შეეძლო მეტის გაკეთებაა ამ 9-წლიანი პერიოდის განმავლობაში...

— რას გულისხმობ?

— რას ვგულისხმობ და ჯერ დავიწყებ მოთამაშეებიდან. პირადად ჩემს მაგალითზე ვიტყვი, რომ ჩემი თამაშის ხარისხი უკეთესი უნდა ყოფილიყო. გვაკლდა პროფესიონალიზმი, გამოცდილება — მეტი ტესტ-მატჩი უნდა გაგვემართა.

— და რატომ არ ხერხდებოდა? ფინანსების გამო?

— ალბათ, ზუსტად არ ვიცი. ძალიან ძნელია საქართველოში რაგბიში ფინანსების მოზიდვა, ეს კარგად ვიცი. მაქსიმალური დაფინანსების გარეშე კი შედეგს ვერ მიაღწევ.

— რაგბის ერთ-ერთმა სპეციალისტმა სულ ახლახან თქვა, რომ ფინანსების შოვნა ადვილია, მთავარია, მონდომებაო. ნუთუ ეს მონდომება არ იყო?

— დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ მორაგბეებს მოქმედებს თუ ვეტერანებს, მხოლოდ სარგებლობის და სიკეთის მოტანა უნდათ ჩვენი რაგბისათვის. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ფინანსების მოზიდვა ძალიან ძნელია.

— ირბ თუ ეხმარებოდა საქართველოს რაგბის კავშირს და ჩვენს ნაკრებს? და თუ ეხმარებოდა, რაში?

— რაგბის საერთაშორისო საბჭოს აქვს ფონდი რაგბის განვითარებისთვის და აქედან რაღაც ნაწილი ჩვენს ნაკრებსაც ხმარდებოდა. ოღონდ ციფრებს ზუსტად ვერ გეტყვით.

— დღეს რა სიტუაციაა ნაკრებში?

— ნაკრები 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისათვის ემზადება, რომელიც 2005 წლის იანვრიდან დაიწყება. ბასად ეროვნებათა თასს უკვე საკვალიფიკაციო დატვირთვა ექნება. რამდენიმე ტესტ-მატჩი გვაქვს დაგეგმილი. ივნისში ალბათ სამხრეთაფრიკელები ჩამოვლენ, ზე-12-ის კლუბი „ბლუბულზი“, რომელიც სავარაუდოდ ორ ტესტ-მატჩს გამართავს ჩვენს ნაკრებთან. ნოემბრისთვის არის დაგეგმილი იტალიის ნაკრების ჩამოსვლა თბილისში და აგრეთვე მიმდინარეობს მოლაპარაკება ინგლისის A ნაკრებთან.

— ფაქტობრივად მწვრთნელები აღარ გყავთ. ხომ არ იცი, ვინ არიან კანდიდატები და ვინ მიგაჩნია პირადად შენ ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის ღირსად?

— არავითარი ინფორმაცია რა გვქავს. საქართველოში ბევრი მწვრთნელია, რომელიც ღირსია ამ თანამდებობის, თუმცა უკეთესია, უცხოელი ჩაგვიგდეს სათავეში. თან საკმაო დრო ექნება, რომ ყველაფერში გაერკვეს.

— სორელზე ხომ არ აკეთებ მინიშნებას?

— არა. სორელის ნამდვილად არ ვგულისხმობ.

— რატომ, მან ხომ გაიყვანა ნაკრები მსოფლიოს თასზე?

— ალბათ ყველაზე მეტად იმიტომ, რომ თვითონ არ სურს 15-კაცა ნაკრების მწვრთნელობა. მას ჰქონდა ამის არგუმენტები.

— შენ ახლოს იყავი მასთან და ხომ არ დაუსაბუთებია ეს არგუმენტები?

— ჩემი აზრით ძირითადი ის იყო, რომ მას არ უყვარს საშუალო დონეზე საქმის კეთება. ის პირობები, რაც ჩვენს ნაკრებს ჰქონდა მოსამზადებლად, მას არ მიაჩნდა საკმარისად.

— ბიჭებზეც იყო ნაწყენი, არა?

— ბიჭებზე საბოლოოდ გულდაწყვეტილი არ წასულა საქართველოდან. თუმცა ზოგიერთი მორაგბე დღემდე ნაწყენია მასზე..

— რატომ? რა გააკეთა ასეთი კლოდმა?

— კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. საერთოდ მწვრთნელის გადაწყვეტილებას ყველა ერთგვარად ვერ აღიქვამს, არსებობს განსხვავებული აზრი.

— ბევრი თვლის, რომ მან ცაბაძე და კიდევ რამდენიმე მორაგბე დაჩაგრა...

— რა გითხრა, არ ვიცი, მე მსოფლიოს თასამდე სულ სხვა აზრი მქონდა და შემდეგ შემეცვალა. მოთამაშეები თავიანთი დამსახურების გამო ღირსნი იყვნენ, რომ ავსტრალიაში ეთამაშათ.

— ბევრი დაუმსახურებლადაც წაიყვანეს, არა?

— არა მგონია. უღირსნი მსოფლიოს თასზე არ ყოფილან.

— იქ რატომ ითამაშეთ ცუდად?

— მიზეზი ბევრია, არასაკმარისი პირობები, დაფინანსება, არასრული მომზადება... მხოლოდ ერთი ტესტ-მატჩი გვქონდა იტალიასთან... ტრავმები...

— ახალი ხელმძღვანელები ამბობენ, რომ ყველანაირი პირობები შეიქმნება.

— თუ უკეთესი პირობები იქნება, ეს შედეგებსაც დაეტყობა.

— ნაკრების წევრებს ხელფასი არ გქონიათ?

— არასოდეს. საერთოდ კავშირისგან ნაკრების წევრებისთვის ხელფასის მიცემის პრაქტიკა ძალიან ცოტა ქვეყანაშია.

— ახლა არ თამაშობ უცხოეთში?

— ახლა არა.

— საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკურ პარტია „თავისუფლების“ სიაში მე-4 ნომრად იყავი. პარლამენტში რომ გასულიყავით, დაანებებდი დიდ სპორტს თავს?



— ალბათ კი, თუმცა ახლაც არ მიმიღია საბოლოო გადაწყვეტილება, წავიდე თუ არა.

— და თუ წახვალ, რას იზამ?

— პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება“ აგრძელებს მოღვაწეობას და მაქსიმალურად შევეცდები, რომ ის იდეები, რის გამოც გვიწევს ბრძოლა, განვახორციელოთ.

— ბოლოს, გულახდილად, რას ფიქრობ კავშირს ახალ ხელმძღვანელობაზე?

— ჯერ არ ვიცნობ ჩვენს ახალ პრეზიდენტს, თუმცა როცა გავიკითხე, მას ყველა დადებითად ახასიათებს. ასე რომ, იმედი მაქვს.

— კვლავაც ხარ ეროვნული ნაკრების კაპიტანი?

— ჯერჯერობით ვარ.

**ნინო ლეჟავა**



## ფედერაციის თასი

### პირველი წრე

| | | |
|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 : 0 | გერმანია |
| სლოვენია | 1 : 4 | აშშ |
| რუსეთი | 4 : 1 | ავსტრალია |
| ავსტრია | 3 : 2 | სლოვაკეთი |
| არგენტინა | 4 : 1 | იაპონია |
| ესპანეთი | 3 : 2 | შვეიცარია |
| ბელგია | 3 : 2 | ხორვატია |
| იტალია | 2 : 1 | ჩეხეთი |

*შეხლა გუშინ უნდა მომთავრებულიყო*

# დედათმავლებმა განვლეს

## მორესმოს ზურგი გაიმაგრა, მართამ ხელი გამართა

შარშანდელმა ჩემპიონმა ფრანგებმა ტიტულის დაცვა მეზობელ გერმანელთა გაბუბლიკებით დაიწყეს. მართალია, ამელი მორესმოს წინა კვირების განმავლობაში ზურგის ტრავმის გამო არ უთამაშია, უსახელო გერმანელთა შესამუსრად თავისიანებს მაინც კაცურად უყოჩა — ორჯერ ჩალიბად (ანუ კენტად) იმარჯვა, კვირას კი ნატალი დეშისთან შეწყვილებულმაც გაილაღა. ამ სამ მოგებას, როგორც მოსალოდნელი იყო, თითო-თითო იმავ დეშიმა და ემილი ლუამაც წაამატეს.

გაიმეოთხედფინალეს სლოვენიაში მოსტუმრე ამერიკელებმაც, რომელთაც გუნდში ვინუს უილიამსისა და ლიზა რეიმონდის გარდა მისი 47 წლის უჩემპიონეს-უდედათმავლესობა მარტინა ნავრატილოვაც ჰყავდათ. მარტინამ თავისი საქმე ჩოგანნათლად შეასრულა და რეიმონდთან ერთად კატარინა სრებოტნიკისა და ტინა კრიჟანის წყვილს 6:1, 1:6, 6:0 მოუგო. ორივე ორთაბრძოლაში იმარჯვა ვინუს უილიამსმა, ამერიკელთა ერთადერთი მარცხი კი იმავ რეიმონდზე მოდის, ვინაც შაბათს ტინა პისნიკთან დათმო 7:5, 7:5.

მორესმოსა და ვინუსის დარად თავისი ორივე საერთეულო მატჩში წარმატებით გაირჯა კიმ კლაისტერსი, ვინაც მშობლიურ ბრეეში საფედთასოდ გამოსვლას ჯერაც მოუშუშებული მარცხენა მაჯის გამო ეჭვობდა. დასტაქართა და ზენა ძალთა წყალობით კიმის მაჯამ უქმეები გაულიზიანებლად ჩაატარა და ლეიტონის გოგომაც შაბათს ელენა კოსტანიჩს რომ სძლია, კვირას უკვე კაროლინა სპრემი მოაშთო. მას ჩოგანი აუბა ელს კალენსმა, ვის მიერ იმავ კოსტანიჩის ძლევამ გადაწყვიტა კიდეც ამ დაძაბული შეხლის ბედი.

ჩინებულად მოიშაბათკვირა ამ თვეში გაოცდათორმეტწლისებულმა და შვიდასმოგებიან თამასას გადამხტარმა კონჩიტა მარტინესმაც. თუკი მისი თვისტომი მარტა მარერო ორივე საერთეულო მატჩში დამარცხდა (პატი შნიდერთან და მირიამ კაზანოვასთან), კონჩიტამ ერთსაც მოუგრიხა ჩოგანი, მეორესაც და სულ ბოლო, გადამწყვეტ მატჩში, ვირხინია რუანო პასკუალთან შეწყვილებულმა იმავ კაზანოვასა და ემანუელე გალიარდის ჯუფთიც მოდრიკა.

სხვაფრივ — რუსები შინ დამაჯერებლად გაუსწორდნენ ავსტრალიელებს, თუმცა ტრავმიანობის გამო დიდხანს უთამაშებელმა მათმა ჯილაგოგო ანასტასია მისკინამ ერთი შეხვედრა (ალიშა მოლიკთან) მაინც ჩააფლავა.

შინაური კედლებითა და თიხნარით ისარგებლეს არგენტინელებმა გოგონებმა. იაპონელებმა ჩოგნის შებრუნება მხოლოდ მაშინ შეძლეს, როცა ამას უკვე აღარანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა — აკიკო მორიგამიმ ხისელა დულკოს გახუთითნოლების საშუალება არ მისცა.



მარტინა ნავრატილოვა

ავსტრიელებმა სლოვაკებს ბარბარა შეტის ორი და ბარბარა შვარცის ერთი მოგებით აჯობეს. თასის შარშანწინდელმა მფლობელებმა მხოლოდ ორი „მკვდარი“ მატჩითღა ისარგებლეს.

იტალიელებისა და ჩეხების შეხლა კი წვიმის გამო გადმოგუშინდლდა. მასპინძლები შაბათის შემდეგ 2:0 იგებდნენ, მაგრამ კვირას ბარბარა სტრიჩოვამ მარია ელენა კამერინს მოუგო და მატჩის სასწორიც ამიტომ ისევ ვაგლახად შეტორტმანდა.

**ლევან ძელაურაძე**

კრივი

# იაფი და სარისკო

## ბაქოში მოკრივეები ბოლო ლიცენზიებს ეძებენ

ოლიმპიურ თამაშებამდე ოთხ თვეზე ნაკლები რჩება და მასზე მოსახვედრი ლიცენზიების გათამაშება თითქმის ყველა სახეობაში დასრულდა. მოკრივეებს კი ბოლო შანსად აზერბაიჯანის ტურნირიღა რჩებათ, რომელიც დღეს იწყება და კვირის ბოლომდე გასტანს.

საქართველოს ნაკრებმა საბერძნეთის ორი საგზური უკვე მოიპოვა. კრივის თავკაცები მინიმუმ ერთს ეიდევ ელიან, თუმც ერთადერთი და მთავარი, რასაც უფრთხიან, არაობიექტური მსაჯობაა. „ძლიერი მოკრივეების დაჩაგვრა კრივში არცთუ იშვიათად ხდება. განსაკუთრებით შედარებით ნაკლებად გახმაურებულ საერთაშორისო ტურნირებზე და რა გასაკვირია, აზერბაიჯანშიც უსამართლობამ იზეიმოს“ — გვითხრა კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კიკნაველიძემ.

ისედაც ღარიბ ქართველებს ხშირად პროტესტის შესატანად საჭირო დოლარებიც არ მოეძებნებათ. ის კი არა, წინა სალიცენზიო ტურნირი გასულ კვირაში შვედეთში ჩატარდა და იქ ჩვენი ნაკრები საერთოდ ვერ ჩავიდა. ბაქო აქვეა, შეუდარებლად იაფი დაჯდა და მწვრთნელმა თენგიზ მესხაძემაც ექვსი კაცი იახლა.

ოლიმპიურ საგზურებს ყველაზე მეტად ავთანდილ კაშიასა (60 კგ) და მალხაზ ბერკაცაშვილისგან (69 კგ) ელიან, თუმც კიკნაველიძისავე სიტყვებით, თუ არაობიექტურობამ ხელი არ შეუშალა, იქნებ სხვებმაც შემოგვთავაზონ სიურპრიზები.

ბაქოში ლიცენზიის მოსაგებად ფინალში გასვლაა საჭირო, თუმც ზოგიერთ წონაში მხოლოდ ჩემპიონებს გაუმართლებთ. ბერძნებს, როგორც ოლიმპიადის მასპინძლებს, ოლიმპიურმა კომიტეტმა ექვსი სასურველი წონის დასახელება სთხოვა, რომლებშიც ლიცენზიებს საჩუქრად მისცემდა. მათ კი 60, 64, 69, 75, 81 და +91 კილოგრამები აირჩიეს.

**ოთარ გაღლაძელიძე**

**საქართველოს ნაკრები**

48 კგ — ზვიად ხადური
54 კგ — გიორგი კილანავა
60 კგ — ავთანდილ კაშია
69 კგ — მალხაზ ბერკაცაშვილი
81 კგ — დავით წიკლაური
+91 კგ — დავით ბოლქვაძე

ხელბურთი

| ევროთასების ფინალი. ვაჟები |
| --- |
| ჩემპიონთა ლიგა |
| პივოვარნა ლაშკო (სლოვენია) 34:28; 28:30 ფლენსბურგ-ჰანდევიტი (გერმანია) |
| თასების მფლობელთა თასი |
| პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) 31:30; 30:26 ვალიადოლიდი (ესპანეთი) |
| ევროპის ფედერაციის თასი |
| კილი (გერმანია) 32:28; 27:19 ალტეა (ესპანეთი) |
| ჩელენჯ კაპი |
| სკოვდე (შვედეთი) 20:21; 27:24 დუნკერკი (საფრანგეთი) |

# ლუდიც დაგვილევია

## პივოვარნამ გერმანელები გადახარშა




**სლოვენიის** ცხრაგზის ჩემპიონმა, პატარა ქალაქ ცელიეს „ლაშკო პივოვარნამ“ გაიმარჯვა ვაჟ ხელბურთელების ჩემპიონთა ლიგის მე-11 გათამაშებაში. ამით გაგრძელდა ბოლო წლების ტრადიცია — ზედიზედ ორჯერ ვერავინ შეძლო მთავარი საკლუბო პრიზის დასაკუთრება.

თასის შარშანდელი მფლობელი „მაგდებურგი“ ნახევარფინალში გამოთიშა თანაგერმანელმა „ფლენსბურგმა“. პროვინციელ ფლენსბურგელების ფინალში პირველად გასვლა დიდი მოულოდნელობა იყო. ასევე პირველად მიაღწიეს დასკვნით ეტაპამდე ექვსი წარუმატებელი ცდის შემდეგ სლოვენიელმა მელუდეებმა და მეშვიდე მათთვის ბედნიერი აღმოჩნდა. „პივოვარნას“ თავიდანვე, ჯგუფურ ტურნირში შეეტყო, რომ მშვენივრად იყო მომზადებული — ექვსი თამაშიდან ხუთი მოიგო, ერთში კი ფრეს დასჯერდა და ბურთების შთამბეჭდავი სხვაობით — 196:161 დაასრულა ჯგუფში თამაში.

ცელიელებმა თავიანთ მოედანზე პირველი საფინალო მატჩი არც თუ მცირე, ექვსბურთიანი სხვაობით მოიგეს, რაც საკმარისი აღმოჩნდა საერთო წარმატებისთვის — სტუმრად, 6000 ქომაგის მხარდაჭერით შეგულიანებულ გერმანელებთან მხოლოდ ორი გოლით დათმეს.

ლუდის მხარშავ ცნობილი კონცერნის წარმომადგენელთა ამ ისტორიულ მიღწევაში მთავარი როლი შეასრულა 22 წლის სერგეი რუტენკამ — სლოვენიის პასპორტიანმა ბელარუსმა მეტოქეებს 24-ჯერ (13+11) გაუტანა, სულ 14 მატჩში 103 გოლი დაუგროვდა და ლიგის საუკეთესო სნაიპერობაც მოიპოვა. რუტენკა „ადიდასის“ მიერ წლეულს დაწესებული საამისო პრიზის პირველი მფლობელი გახდა. მეორე ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი რენატო ვუგრინეცი (87), რომელსაც მცირედ ჩამორჩა რუსი მელუდე, მსოფლიოს და ოლიმპიადის ჩემპიონი ედუარდ კოკშაროვი (81).




სერგეი რუტენკა „ადიდასის“ პრიზის პირველი მფლობელია

ჰოკეი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

24 აპრილი - 9 მაისი. ჩეხეთი (პრაღა, ოსტრავა)

# ოღონდ არ აგვაფეთქონ

## პოლიციას ჩხუბი აღარ აღელვებს

— 25 აპრილი —

C ჯგუფი

**შვედეთი 5:1 იაპონია** *2:1 2:0 1:0*

**რუსეთი 6:2 დანია** *2:0 2:2 2:2*

D ჯგუფი

**კანადა 2:2 ავსტრია** *0:1 0:1 2:0*

**შვეიცარია 6:0 საფრანგეთი** *0:0 4:0 2:0*

ჩემპიონატის პირველმა დღემ ჩაიარა და მაყურებლებსა და სპეციალისტებს უხასიათობა დაეტყოთ. ექვსივე მატჩი მოსალოდნელი შედეგით დასრულდა, სენსაციის მარცვალიც კი არ გამოჩენილა არსად. თან არც ერთმა ფავორიტმა არ მოინდომა მეტოქის განადგურება, ყველა ძალებს ზოგავდა. ჰოდა, რა გასაკვირია, ხალხს იმედი რომ გაუცრუვდა და ყურადღებაც ტრიბუნებსა და სტადიონების სიახლოვეს მომხდარ ამბებზე გადაიტანა. მაგალითად, მოსეირეები არენების გაძლიერებულმა დაცვამ დააინტერესათ. ტერორიზმმა ისე შეაფუცხუნა ხალხი, რომ ყველგან ცეცხლი და კვამლი ეჩვენება. ოსტრავას სტადიონ „ჩეზისკენ“ მიმავალი ფანები შორიდანვე ხედავდნენ სახლების სახურავებზე ჩასაფრებულ ავტომატიან კაცებს, არენის ირგვლივ კი უამრავი ბინოკლიანი ჯარისკაცი დადიოდა. უმკაცრესი კონტროლი იყო სტადიონზე შესვლის დროს. თუმც როცა ფინეთი—აშშ მატჩის პირველ შესვენებაზე ტრიბუნაზე დიდი ჩხუბი ატყდა, წესრიგის დამცველები მშვიდად უყურებდნენ მოვლენათა განვითარებას და შემდეგ ვნებათაღელვა რომ ჩაცხრა, მხოლოდ მაშინ ჩაერია ერთ-ერთი პოლიციელი საქმეში.

ცოტა გასაკვირია და, უამრავი დანიელი ტურისტი დაესწრო მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნას. 1500-ზე მეტმა დანიელმა ისეთი ამბავი ატეხა მატჩების მსვლელობის დროს, რომ ყოველთვის ყველაზე ხმაურიან ფინელებსაც კი გადააჭარბა. თუმც ორშაბათიდან მათმა რაოდენობამ იკლო, სამუშაო კვირა დაეწყოთ.

**პლეი ოფი**

— 25 აპრილი —

**აღმოსავლეთი**

**ტამპა 2:0 მონრეალი**

**ტამპა 3:1 მონრეალი**

*2:1 1:0 1:0*

1:0 ლეკავალიე (3), 2:0 მოდინი (9), 2:1 კოივუ (17), 3:1 ლეკავალიე (40)

ვენსან ლეკავალიე მაღაზე მოვიდა. „ტამპას“ ლიდერმა „აილენდერსთან“ სერიაში ქულა რაა, ისიც ვერ მოიხვეჭა, „მონრეალთან“ კი გაილაღა — პირველივე მატჩში 2 გოლით და 1 პასით ლომის წილი დაიდო გამარჯვებაში.

**ფილადელფია 2:0 ტორონტო**

**ფილადელფია 2:1 ტორონტო**

*1:0 0:1 1:0*

1:0 ბრაშირი (18), 1:1 დომი (34), 2:1 ჟამნოვი (49)

არც რობერტ ეშია უმადოდ. „ნიუ ჯერსის“ მეკარე მარტინ ბროდოს ხომ აჯობა და აჯობა, ახლა „ტორონტოს“ ედ ბელფორი ამოიღო ნიშანში. „ფილადელფიას“ მეკარემ ამჯერადაც ფრიადზე შეასრულა ყველაფერი. მეტწილად უფრო მეორე პერიოდში ღვარა ოფლი, როცა სტუმრები სრულ უპირატესობას ფლობდნენ და შაიბას შაიბაზე უგზავნიდნენ „მფრინავთა კარის“ კარის შეუვალ დარაჯს.

ოლიმპიზმი


ეროვნული ბიბლიოთეკა

იან ტორპი ათენში მაინც გასცურავს

# იან ტორპს ტრამპლინი წამოუწიეს

ATHENS 2004

ცნობილი გახდა, რომ ავსტრალიელ მოცურავე იან ტორპს შესაძლებლობა ეძლევა ათენში ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული დაიცვას 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც. ტორპს ამგვარი შანსი გაუჩნდა მას მერე, რაც მისმა თანაგუნდელმა კრეიგ სტივენსმა უარი თქვა პროგრამის ამ დისციპლინაში შეჯიბრებაზე.

შეგახსენებთ, რომ ტორპი ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე, რომელიც იქაური მოცურავეებისთვის საათენოდ შესარჩევი ასპარეზობა იყო, ამ დისციპლინაში ცრუ სტარტის გამო შეჯიბრებიდან მოიხსნა. მას შემდეგ ეს სახელგანთქმული სპორტსმენი თავისი ქვეყნის ცურვის ფედერაციაზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობდა, რათა ათენის ოლიმპიური ლიცენზია მიეღო.

ოფიციალური განცხადების მიხედვით, სტივენსმა ამ დისციპლინაზე უარი თქვა იმის გამო, რომ სურს თავისი ენერგია სხვა დისტანციებს დაახარჯოს და ღობე-ყორეს მოდებით ძალები არ დაქსაქსოს.

სინამდვილეში, ეტყობა ეს სხვა არაფერია, თუ არა სიტყვების თამაში. ათენში სტივენსის წარუმატებლობის შემთხვევაში ხომ მას დაბრალდებოდა ავსტრალიის უოქროსმედლოდ დატოვება.

# ათენელებს ქურდი აღმართში მიეწიათ

ოლიმპიიდან ათენამდე მიმავალი ოლიმპიური ჩირაღდანი ნიავის ყოველ წამობერვაზე ბარე 30-ჯერ რომ ჩაქრა, ეს მეტისმეტად ცუდად ენიშნათ კარსმომდგარი ოლიმპიური თამაშების მასპინძლებს თუ მის სტუმრებს. გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწევაო და ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები საოლიმპიადოდ ველარც ბაზების მშენებლობას ასწრებენ და ველარც გზების გაყვანას თუ სხვა წვრილმანს. ახლა ათენელებს სხვა უბედურებაც დაატყდათ თავს — ამ თამაშების ორგანიზატორებს 4 000 ევრო მოპარეს.

ეს თანხა შეიძლება არც ისე ბევრია იმასთან შედარებით, რაც მათ 16-დღიანი თამაშები უჯდებათ, რაც სხვათა შორის საქართველოს 12 წლის ბიუჯეტია, მაგრამ ზარალი მაინც ზარალია.

ქურდები თურმე ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის შენობაში შეპარულან, იმავე საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური მდივნის სეიფი გაუხსნიათ და იქიდან ის ნაღდი ფულიც აუწაპნიათ.

ძარცვა წინა კვირას მოხდა, მაგრამ ამის შესახებ ახლაღა შეიტყვეს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზევსმა მაგიდები გაშალა

## ინებეთ ამერიკულიც და რუსულიც

საბურთალოზე, მეტროსადგურ გოცირიძის ამოსასვლელთან ევროპული სტანდარტების ბილიარდის კლუბი „ზევსი“ გაიხსნა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია ეგრეთ წოდებულ პროფკავშირების შენობას მიაკითხოს და რუსული თუ ამერიკული ბილიარდი ითამაშოს.



ბილიარდის ფედერაციის თავკაცი
დავით ალექსიძე

ამ დღეებში ოფიციალური გახსნის ცერემონია მოეწყო და საკმაოდ პომპეზურიც. თორმეტი მაგიდის გარშემო ბევრი ცნობილი სახე მოგროვდა. კიები სპორტში, ესტრადასა და სხვა საქმეში დასაქმებულმა ადამიანებმა მოიმარჯვეს და ერთურთს მინი-ტურნირშიც გაეჯიბრნენ. ჩემპიონობა მსახიობ ზურაბ შარიას დარჩა, თუმც პრიზი, ასაწყობი კიი ათიოდ წუთით დაიტოვა, შემდეგ კი ფინალისტს, ამერიკულ პულში საქართველოს პირველ ლედის თეონა კანკიას გადაულოცა.

ტურნირამდე კლუბ „ზევსის“ ერთ-ერთმა დამაარსებელმა დიმა ხაჩიძემ ბილიარდის ფედერაციის თავკაც დავით ალექსიძესთან ერთად სულ ახლახან რუსულ პირამიდაში ჩატარებული საქართველოს ჩემპიონატის ჩემპიონ-პრიზიორები დააჯილდოვა.

ბოლოს საქმეში კარგად გაწაფულმა რამდენიმე მობილიარდემ მაგიდაზე დაუჯერებელი ამბებიც დაატრიალა. თვალსასეირო სანახაობით ბევრმა ისიამოვნა. რამდენიმე თვეში კი „ზევსი“ ალბათ პირველ საერთაშორისო ტურნირს კავკასიის თასსაც უმასპინძლებს.

**ბადრი ქეთილაძის**
**ფოტორეპორტაჟი**





„ზევს“ ცნობილი ხალხიც სტუმრობდა და ცნობილი მობილიარდეებიც–
მარცხნივ დიდი კალათბურთელი ვლადიმერ უგრეხელიძე



სახელდახელო ტურნირის ჩემპიონმა ზურაბ შარიამ
პრიზი ფინალისტ თეონა კანკიას დიდსულოვნად დაუთმო



მამუკა ონაშვილი, ზურაბ ყიფშიძე და მალხაზ ქვრივიშვილი











სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge